პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 279 (9439) | ოთხშაბათი, 26 ნოემბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

უზრუნველვყოთ პირუტყვის სანიმუშო გამოზამთრება — მოწინავე (1-ლი გვერდი).

ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეთერთმეტე ტომი ქართულ ენაზე (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება — აღვზარდოთ მასებში შრომის სოციალისტური დისციპლინა (მე-2 გვერდი).

ფაქტები ამხილებენ — «პრავდის» 25/XI მოწინავე (მე-2 გვერდი).

წერილები რედაქციას — მოსავლიანობის გადიდების საბრძოლო ღონისძიება. სრულად გამოიყენოთ მიწათმოქმედების ლოვანი რეზერვი (მე-2 გვერდი).

თეატრი — შემოქმედებითი მუშაობის გაღრმავების გზით (მე-3 გვერდი).

ა. ი ვიშინსკის გამოსვლა მეექვსე კომიტეტში 21 ნოემბერს აგრესიის განსაზღვრის საკითხზე (მე-3 და მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

უზრუნველვყოთ პირუტყვის სანიმუშო გამოზამთრება

პარტიის XIX ყრილობის დირექტივები მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებს საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომ მძლავრ აღმავლობას. „მეცხოველეობის განვითარებაში, — თქვა ამხანაგმა გ. მ. მალენკოვმა საანგარიშო მოხსენებაში კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე, — მთავარ ამოცანად კვლავ რჩება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის გამრავლება და ამასთან მისი პროდუქტიულობის მნიშვნელოვნად გადიდება. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის საჭიროა უწინარეს ყოვლისა ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შევქმნათ მტკიცე საკვები ბაზა, უზრუნველვყოთ პირუტყვის სულადობა პირუტყვის კარგი სადგომებით, აგრეთვე განვახორციელოთ სამუშაოთა ფართო მექანიზაცია მეცხოველეობაში... მეცხოველეობის ჯანსაღი აღმავლობა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ სულადობის ზრდას სწორად შევახამებთ პირუტყვის მასობრივ ხარისხობრივ გაუმჯობესებასა და პროდუქტიულობის გადიდებასთან“.

ახლოვდება ზამთარი. მეცხოველეობის მუშაკთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სანიმუშოდ მოაწყონ პირუტყვის მოვლა-შენახვა ზამთრის პირობებში. ამაზე დამოკიდებულია მეცხოველეობის განვითარების არა მარტო წლიური გეგმის, არამედ ხუთწლედის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება. მთელი რიგი კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, ფერმები მომზადებული შეხვდნენ დიდად პასუხსაგებ სამუშაო პერიოდს — პირუტყვის გამოზამთრებას. მათ უხეში და ნვნანი საკვები საკმაო რაოდენობით დაამზადეს, გააუმჯობესეს პირუტყვის მოვლა და კვება, მოაწესრიგეს სადგომები, ახორციელებენ ზოოვეტერინარულ ღონისძიებებს, რომ ამრავლონ ჯოგის რაოდენობა და აამაღლონ მისი პროდუქტიულობა. ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „შრომა“ ჯეროვან ყურადღებას აქცევს მეცხოველეობას. აქ ზამთრისათვის საკმაო რაოდენობით მოიმარაგეს საკვები, დროულად დაამთავრეს სადგომების მშენებლობა, პირუტყვი მოათავსეს სუფთა და ნათელ ბინებში. მათ ყველა პირობა შექმნეს იმისათვის, რომ ზამთარში პირუტყვი უზრუნველყოფილი იქნას წესიერი კვებითა და მოვლით.

არ შეიძლება ითქვას, რომ პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადყოფნის მხრივ ყველგან დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იყოს. ზოგან ჯერ კიდევ მზად არა აქვთ საკვები, შეუწყნარებლად ნელი ტემპით მიმდინარეობს სადგომების მშენებლობა, რითაც საფრთხეს უქმნიან მეცხოველეობის ნორმალურად გამოზამთრებას. თეთრი წყაროს რაიონის ეკონომიკაში მეცხოველეობას დიდი ხვედრითი წონა აქვს. მიუხედავად ამისა, რაიონში უხეში საკვების დამზადებისა და დასილოსების გეგმები არ შეუსრულებიათ, დიდძალი უხეში საკვები მინდვრად აუღებელი დატოვეს. ეს იმიტომ მოხდა, რომ პარტიის თეთრი წყაროს რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი ღრმად არ სწვდებიან მეცხოველეობის განვითარების საკითხებს. მეცხოველეობის ისეთ ძირითად რაიონში, როგორიც ახმეტის რაიონია, მთელი რიგი ფერმები უზრუნველყოფილი არ არიან საკვებით, უდარდელობას იჩენენ სადგომების მშენებლობისადმი. არის საფრთხე, რომ კოლმეურნეობათა მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ზამთარში პირუტყვს ვერ უზრუნველყოფს შესაფერი სადგომებით. ახმეტის რაიონში არიან საკოლმეურნეო სოფლის წარჩინებული ადამიანები, სახელმოხვეჭილი მეცხვარეები, რომლებსაც შესანიშნავი გამოცდილება აქვთ ცხვრის გაზრდისა და პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში. ამ მოწინავე მეცხვარეთა გამოცდილების პროპაგანდასა და დანერგვას რაიონში საკმაო ყურადღება არ ექცევა. ეს სერიოზული ნაკლოვანებანი იმით არის გამოწვეული, რომ პარტიის ახმეტის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი არაოპერატიულად, „საერთოდ“ ხელმძღვანელობენ მეცხოველეობას.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა გადაუდებელი საქმეა საუკეთესოდ მოაწყონ პირუტყვის საზამთრო ბაგური კვება, რომელსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს წველადობის გადიდების საქმეში. მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში ნათქვამია, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის რძის პროდუქტიულობის გასადიდებლად განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმედ იქნას მიჩნეული მეცხოველეობის მეურნეობის გაძღოლის უფრო ინტენსიური სისტემის — პირუტყვის ბაგური მოვლა-შენახვის სისტემის დანერგვა.

საჭიროა რათა ბაგური კვებისას პირუტყვი უზრუნველვყოთ ყველა სახის საკვებით, უხეში და კონცენტრირებული საკვები დროულად უნდა იქნას მიზიდული სადგომებთან. არ შეიძლება შევიწყნაროთ ისეთი მდგომარეობა, როცა ცალკეული კოლმეურნეობები აგვიანებენ საკვების მომარაგებასა და ფერმებთან მიზიდვას, როგორც ამას ადგილი აქვს ზესტაფონისა და მაიაკოვსკის რაიონებში.

ბევრგან არადამაკმაყოფილებელია ახალი სადგომების მშენებლობის ტემპი. თბილისის და სამხრეთ ოსეთის ოლქების მთელ რიგ რაიონებსა და კოლმეურნეობებში პირუტყვის სადგომების მშენებლობის გეგმები ცუდად სრულდება. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ქმედით ღონისძიებებს არ ახორციელებენ მდგომარეობის გამოსასწორებლად. საჭიროა ვაშენოთ სწრაფად, იაფად, კარგად და პირუტყვი უზრუნველვყოთ სუფთა, ნათელი, თბილი სადგომებით — ასეთია ამოცანა.

საზოგადოებრივი პირუტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი იზამთრებს ჩრდილოეთ კავკასიისა და აზერბაიჯანის საძოვრებზე. წელს ამ საძოვრებზე უფრო უკეთ მოემზადნენ, ვიდრე გასულ წლებში. მეტი ყურადღება მიექცა სადგომების მშენებლობას, საკვების სადაზღვევო მარაგის შექმნას. მაგრამ ნაკლოვანებებსაც ვხვდებით. გურჯაანის, თეთრი წყაროს, ბოლნისისა და ლაგოდეხის რაიონების ზოგიერთი კოლმეურნეობა გულგრილად ეკიდება აზერბაიჯანის საზამთრო საძოვრებზე უხეში საკვების მარაგის შექმნას. ჩრდილოეთ კავკასიის საძოვრებზე მიმაგრებული კოლმეურნეობებისათვის საკმაო რაოდენობით არის გამოყოფილი კონცენტრირებული საკვები შვრია. მაგრამ ბევრი კოლმეურნეობა აჭიანურებს შვრიის შეძენას და დანიშნულებისამებრ მიზიდვას. ამ მდგომარეობის გაგრძელება შეუწყნარებელია.

ზოგან სათანადო ყურადღება არ ექცევა მეცხოველეობის ფერმების დაკომპლექტებას კადრებით. წარმატებას მეცხოველეობაში, ისევე როგორც ყველა დარგში, ადამიანები, კადრები წყვეტენ. საკოლმეურნეო სოფელში ლენინ—სტალინის პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ მზრუნველობით გამოზარდეს შესანიშნავი კადრები, რომლებიც მეცხოველეობის განვითარებისათვის ბრძოლის მოწინავეთა რიგებში არიან. ამოცანა ის არის, რომ სწორად შევარჩიოთ და გავანაწილოთ საკოლმეურნეო კადრები, სისტემატურად დავეხმაროთ მათ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური დონისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებაში. მეცხოველეობის ფერმები ამთავითვე უნდა დავაკომპლექტოთ მცოდნე, გამოცდილი ადამიანებით.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ მეცხოველეთა ბრძოლას დასახულ ამოცანათა გადაჭრისათვის, სწრაფად განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი საკვების დამზადების დასამთავრებლად და პირუტყვის კარგად გამოზამთრებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად. პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა, რაისაბჭოების აღმასკომებმა კონკრეტულად და კვალიფიციურად უნდა უხელმძღვანელონ მეცხოველეობას, გადაჭრით აამაღლონ ხელმძღვანელობის დონე, დაარაზმონ კოლმეურნეები პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის.



ქართველი მეტალურგები უდიდესი აღფრთოვანებით მუშაობენ კომუნიზმის დიად მშენებლობათა დაკვეთების შესრულებისათვის. გუშინ ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებს გაუგზავნა ქართული ფოლადის მილების ახალი პარტია. სურათზე: კუიბიშევში გასაგზავნი მილებით ვაგონების დატვირთვა.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ᲯᲣᲤᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲒᲖᲔᲑᲐ

ᲙᲐᲡᲐᲠᲘ. (საკ. კორ.). თებერვლის ტუფის კარიერზე ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ახალი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ამ საწარმოს მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები წარმატებით ანაღდებენ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. მათ თვენახევრით ადრე შეასრულეს მიმდინარე წლის გეგმა, დღემდე გეგმის გადამეტებით მრავალი კუბური მეტრი ტუფი დაამზადეს და მისცეს ჩვენი რესპუბლიკის ახალ მშენებლობებს.

შეუფერხებლად მუშაობენ ქვისმჭრელი კომბაინები, რომელთაც მ. მამულაშვილი, ვ. გოდაძე, კ. გოზალოვი მართავენ. თვითეული მათგანი დღიურ საწარმოო დავალებას 10-15 პროცენტის გადამეტებით ასრულებს. ქვისმთლელთა ბრიგადებს შორის ნაყოფიერი მუშაობით თავი ისახელა გ. ბაისონაშვილის ბრიგადამ, რომელმაც წლიური გეგმა 120 პროცენტით გაანაღდა და ახლა მომავალი წლის ანგარიშში მუშაობს. ამჟამად ბრიგადის ყოველდღიური შრომითი მაჩვენებელია 122-125 პროცენტი. სტახანოველი მეექსკავატორე ვ. ზუბრიცკი ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრა საკუთარი ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში შეასრულოს. მან ხუთწლედის მეორე წლის დავალება ერთი თვის წინათ გაანაღდა.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ. (საკ. კორ.). კალინინის სახელობის შუშის ქარხნის კოლექტივმა 105,2 პროცენტით შეასრულა პროდუქციის გამოშვების 10 თვის დავალება, 12,9 პროცენტით შეამცირა თვითღირებულება, გასწია 314,4 ათასი მანეთი ეკონომია და სახელმწიფოს ასამანეთ ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება მისცა.

საწარმოო გეგმების შესრულებაში განსაკუთრებით დაწინაურდა ქარხნის ნახევრადმექანიზებული წარმოების პირველი ცვლა, რომელსაც კომუნისტი ტ. დვალაძე ხელმძღვანელობს. ამ ცვლამ პირველი ნოემბრისათვის 111,6 პროცენტით გაანაღდა წლიური დავალება და მას შემდეგ პროდუქციას 1953 წლის ანგარიშში იძლევა.

ამ დღეებში ქარხანაში მიიღეს ცნობა, რომ მიმდინარე წლის მესამე კვარტალის საწარმოო მაჩვენებლებით საკავშირო პროფსაბჭომ და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრომ ქარხნის კოლექტივს მეორე საკავშირო ფულადი პრემია მიაკუთვნეს.

ᲛᲔᲯᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

სამტრედიის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის კოლექტივი, რომელმაც საახელოდ გაანაღდა 10 თვის გეგმა, თავდადებით იბრძვის მიმდინარე წლის საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. ფაბრიკამ, შრომის მოწინავე მეთოდების ფართოდ დანერგვით, 10 თვეში რვა პროცენტით გაზარდა შრომის ნაყოფიერება, დაზოგა დიდძალი ნედლეული, საწვავი მასალა და ელექტროენერგია. აქ უკეთეს შედეგებს აღწევენ ნოემბერში.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში ნოემბერში განსაკუთრებით დაწინაურდა მეორე ცვლის ის ბრიგადა, რომელსაც ქ. კვაშალი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ ნოემბრის განვლილ 20 დღეში მხოლოდ პირველი ხარისხის ძაფი ამოახვია.

მაღალნაყოფიერად შრომობენ სამდაზგოსანი სტახანოველები ო. ნადირაძე, ბ. გაბელია, ვ. ტალაბაძე, ლ. ხუჭუა. ისინი სტალინური კონსტიტუციის დღის აღსანიშნავად სტახანოვურ ვახტზე დგანან და საწარმოო დავალებებს ორმაგად ასრულებენ. საამაყო შრომითი მაჩვენებლები აქვს ორდაზგოსან სტახანოველს, ძაფის ამომხვევ კ. წიქვაძეს. იგი ყოველდღიურად დიდძალ პროდუქციას იძლევა გეგმის გადამეტებით.

ფაბრიკაში ძაფის ამომხვევთა უმრავლესობა ამჟამად მუშაობს ცნობილი ნოვატორის, მახარაძის აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის სტახანოველის ციალა ღლონტის მეთოდით. ამ მეთოდის დანერგვამ საგრძნობლად გაზარდა შრომის ნაყოფიერება და გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი.

სამტრედიელი ფეიქრები იბრძვიან მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის. („კომუნისტის“ კორ.).

ᲐᲮᲐᲚ ᲙᲐᲮᲝᲕᲙᲐᲨᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲐᲮᲝᲕᲙᲐ, 24 ნოემბერი. (საკდესი). გენერალური გეგმით კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა ქალაქის 45 უბნიდან 33 უბანში შენდება საცხოვრებელი სახლები, დანარჩენებში აშენდება ადმინისტრაციული, კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობები.

დღეს № 1 მოწინავე სამშენებლო უბნის კოლექტივმა დაიწყო ქალაქის უკანასკნელი საცხოვრებელი უბნის შენება. აქ აშენდება 170-ბინიანი 13 ორ და სამსართულიანი აგურის სახლები. უბნის შენება დამთავრდება 142 სამუშაო დღეში.

ᲘᲥ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲘᲞᲝᲕᲜᲔᲡ „ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲘᲒᲝᲠᲘᲡ ᲦᲐᲨᲥᲠᲝᲑᲘᲡᲐ“

ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕᲚᲘ, 22 ნოემბერი. (საკდესი). XVIII საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს იაროსლავლში, მაცხოვრის მონასტერში იპოვნეს ხელნაწერი ეგზემპლარი ძველი რუსული ლიტერატურის უდიდესი ნაწარმოებისა „ამბავი იგორის ლაშქრობისა“.

გუშინ აქ ყოფილი მონასტრის დღემდე დაცულ შენობაში, სადაც ხელნაწერი იპოვნეს, დაიდგა მემორიალური დაფა წარწერით:

„ხელნაწერი პირი
„ამბავი იგორის ლაშქრობისა“
იპოვნეს XVIII საუკუნის 90-იან წლებში ყოფილი იაროსლავლის მაცხოვრის მონასტრის კედლებში.
დადგმულია 1952 წელს“.

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ

24 ნოემბერს მოსკოვში კინოთეატრ „ნაუკა ი ზნანიეში“ გაიხსნა სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტალური ფილმების საკავშირო ფესტივალი, რომელიც სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სამინისტრომ და საკავშირო პროფსაბჭომ მოაწყეს.

საბჭოთა კინოს ოსტატებმა უკანასკნელ ათწლეულში შექმნეს ათასზე მეტი სამეცნიერო-პოპულარული და სასწავლო ფილმი, ასობით ქრონიკალურ-დოკუმენტალური კინოსურათი. მარტო გასულ წელს სამეცნიერო-პოპულარული ჟანრის სურათები ნახა 350 მილიონზე მეტმა მაყურებელმა.

ფესტივალის პროგრამაში დიდი ადგილი უკავია კინოსურათებს კომუნიზმის დიად მშენებლობათა შესახებ, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორთა მიღწევების შესახებ. ფილმების სერია მიძღვნილია ჩაიკოვსკისადმი, პუშკინის, ბელინსკის, გორკის, მაიაკოვსკისა და სხვებისადმი.

სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტალური ფილმების საკავშირო ფესტივალი მიმდინარეობს აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ყველა ქალაქში, მუშათა დაბასა და სოფელ ადგილებში. იგი გასტანს 1953 წლის 1 იანვრამდე. (საკდესი).

ᲕᲘ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔ ᲢᲝᲛᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეთერთმეტე ტომი, თარგმნილი ქართულ ენაზე.

თარგმანი შეასრულა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს—ენგელს—ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა.

გამოცემის ტირაჟია 20 ათასი ცალი.

ოცდამეთერთმეტე ტომი შეიცავს იმ ნაწარმოებებს, რომლებიც ვ. ი. ლენინმა დაწერა 1920 წლის აპრილ-დეკემბერში, ინტერვენციის ძირითადი ძალების საბოლოო განდევნის, ანტანტის უკანასკნელ აგენტებთან — თეთრ პოლონელებთან და ვრანგელთან ომის პერიოდში.

ტომის ძირითად შინაარსს შეადგენენ ნაწარმოებნი, რომლებიც მიძღვნილია საბჭოთა რეს-პუბლიკის თავდაცვისადმი, სოციალისტური მშენებლობის ამოცანებისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის საკითხებისადმი.

ტომში შედის წიგნი „„მემარცხენეობის“ ხაუმაწვალო სენი კომუნიზმში“, რომელშიც ლენინმა ბოლშევიზმის ისტორიის, რუსეთის სამი რევოლუციისა და საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველი წლების გამოცდილების საფუძველზე შემდგომ განავითარა პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის თეორია, ლენინიზმის სტრატეგია და ტაქტიკა; ცხადყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და ბოლშევიკური პარტიის რევოლუციური გამოცდილების საერთაშორისო მნიშვნელობა. ლენინმა ნათელყო, რომ საერთაშორისო ოპორტუნიზმი მთავარი მტერია მუშათა მოძრაობის შიგნით, და სამარცხვინო ბოძზე გააკრა II ინტერნაციონალის ლიდერები, როგორც იმპერიალისტური ბანდიტიზმის თანამონაწილენი; მან საფუძვლიანად გააკრიტიკა „მემარცხენე“ კომუნისტების ანტიმარქსისტული სექტანტური ტაქტიკა საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში.

ტომში დიდი ადგილი უჭირავს დოკუმენტებს, რომლებიც შეეხება კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესის მომზადებას, აგრეთვე მოხსენებებსა და სიტყვებს კონგრესზე. მათ მიეკუთვნება: „თავდაპირველი მონასახი თეზისებისა ნაციონალურ და კოლონიურ საკითხებზე“, „თავდაპირველი მონასახი თეზისებისა აგრარულ საკითხზე“, „თეზისები კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესის ძირითადი ამოცანების შესახებ“, „კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღების პირობები“, „მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობისა და კომუნისტური ინტერნაციონალის ძირითადი ამოცანების შესახებ“ 1920 წლის 19 ივლისს და სხვები. ამ დოკუმენტებში დასაბუთებულია საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის პროგრამული, ორგანიზაციული და ტაქტიკური პრინციპები.

დოკუმენტები: „წერილი ავსტრიელ კომუნისტებს“, „წერილი გერმანიისა და საფრანგეთის მუშებს, კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესის შესახებ გამართული კამათის გამო“, „იტალიის სოციალისტური პარტიის შიგნით ბრძოლის შესახებ“ ასახავენ ლენინის ბრძოლას კომინტერნის ძირითად გადაწყვეტილებათა გატარებისათვის საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში.

სიტყვებში საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ რკპ(ბ) სრულიად რუსეთის IX კონფერენციაზე, მოსკოვის საგუბერნიო კონფერენციაზე და პროფესიული კავშირების ყრილობებზე ლენინი ამხილებს ანტანტის ახალ გეგმას — ბურჟუაზიულ-მემამულური პოლონეთისა და ვრანგელის დახმარებით დაახრჩოს საბჭოთა რუსეთი; მოუწოდებს მუშათა კლასს და მშრომელ მასებს დაძაბონ მეილი ძალები ინტერვენტებზე გამარჯვების ორგანიზაციისათვის; აჯამებს წითელი არმიის წარმატებათა შედეგებს ბურჟუაზიულ-მემამულური პოლონეთისა და ვრანგელის დამხმარე ძალთა განადგურებაში.

დოკუმენტების ჯგუფი: „მოხსენება კონცეფციების შესახებ საბჭოების VIII ყრილობის რკპ(ბ) ფრაქციის სხდომაზე“ 1920 წ. 21 დეკემბერს, „მოხსენება ხალხსო კომისართა საბჭოს მოღვაწეობის შესახებ“ 1920 წ. 22 დეკემბერს, „პროექტი საბჭოების VIII ყრილობის რეზოლუციისა ელექტროფიკაციის შესახებ მოსმენილი მოხსენების გამო“ და სხვები მიძღვნილია საბჭოთა-მწიფოებრივი და სამეურნეო მშენებლობის საკითხებისადმი: ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტური განვითარების საქმეში ელექტროფიკაციის მნიშვნელობის დასაბუთებისადმი.

„პროლეტარული კულტურის შესახებ“ რეზოლუციის პროექტში, რომელიც პროლეტკულტის ყრილობისათვის არის დაწერილი, და „სიტყვაში სახალხო განათლების საგუბერნიო და სამაზრო განყოფილებათა პოლიტგანების სრულიად რუსეთის თათბირზე 1920 წ. 3 ნოემბერს“ ლენინი აკრიტიკებს პროლეტკულტის მიერ პარტიის ხაზის დამახინჯებას კულტურის დარგში; ცხადყოფს პარტიისა და პროლეტარული სახელმწიფოს როლს სოციალისტური კულტურის მშენებლობაში, გვიჩვენებს მარქსიზმის დამოკიდებულებას ადამიანის აზრისა და კულტურის საუკეთესო მონაპოვრებისადმი, განსაზღვრავს განათლებისა და ხელოვნების ამოცანებს პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

სიტყვაში „ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები“, რომელიც წარმოქმელია რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის III ყრილობაზე 1920 წ. 2 ოქტომბერს, ლენინი აყენებს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ძირითად ამოცანებს — ახალგაზრდა თაობის კომუნისტურ განათლებას და აღზრდას; ცხადყოფს კომუნისტური განათლების განუყრელ კავშირს პროლეტარიატისა და ყველა მშრომელის ბრძოლასთან კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის; ასაბუთებს კომუნისტური მორალის პრინციპებს.

ტომში შეტანილია 21 დოკუმენტი, რომლებიც წინათ არ შედიოდა ვ. ი. ლენინის თხზულებებში. სიტყვაში პოლონეთის ფრონტზე მიმავალი წითელარმიელებისადმი 1920 წ. 5 მაისს და გამოსვლაში მუშათა და წითელარმიელთა ფართო კონფერენციაზე როგოჟსკ-სიმონოვის რაიონში 1920 წ. 13 მაისს ლენინი მოუწოდებს მუშებსა და წითელარმიელებს დაძაბონ მეილი ძალები თეთრპოლონელთა გასანადგურებლად.

დოკუმენტები: „ინდოეთის რევოლუციურ ასოციაციას“, „პასუხი დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის დამაარსებელი შეერთებული დროებითი კომიტეტის წერილზე“, „კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღების პირობების მეოცე მუხლი“ მიძღვნილია საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის საკითხებისადმი.

ტომში შედის დოკუმენტების ჯგუფი, რომლებიც გვიჩვენებენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ერთობლივ მოღვაწეობასა და მჭიდრო თანამეგობრობას ჩვენი ქვეყნის თავდაცვისადმი ხელმძღვანელობისა და საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცების საქმეში. მათ მიეკუთვნება: „დეპეშა ი. ბ. სტალინს“ 1920 წ. 17 ივლისს, „დეპეშა ი. ბ. სტალინს“ 1920 წ. 2 აგვისტოს, „დეპეშა ი. ბ. სტალინს“ 1920 წ. 4 აგვისტოს, „დეპეშა ი. ბ. სტალინს“ 1920 წ. 11 აგვისტოს, „დეპეშა ი. ბ. სტალინს“ 1920 წ. 29 ოქტომბერს, „დეპეშა ი. ბ. სტალინს“ 1920 წ. 13 ნოემბერს, „პირდაპირი მავთულით ლაპარაკიდან ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს შორის“.

მთელ რიგ დოკუმენტებში: „სიტყვა განთავისუფლებული შრომის ძეგლის საძირკვლის ჩაყრისადმი მიძღვნილ მიტინგზე 1920 წ. 1 მაისს“, „უკრაინის ღარის სოფლელებს“, „დეპეშა უკრაინის საბჭოთა მთავრობას და სამხრეთის ფრონტის შტაბს“, „სიტყვა რკპ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის უჯრედთა მდივნების კრებაზე 1920 წ. 26 ნოემბერს“, საბოლოო სიტყვა მოხსენების გამო ზამოსკვორეჩიეს კომუნისტთა საერთო კრებაზე 1920 წ. 29 ნოემბერს, „დეპეშა ხომხეთის რევოლუციური სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარეს“ ვ. ი. ლენინი ხახავს ხახალხო მეურნეობის აღდგენისა და მშენებლობის ამოცანებს.

ვ. ი. ლენინის თხზულებებში შეტანილ დოკუმენტთა რიცხვში პირველად ქვეყნდება: „ტელეფონოგრამა ი. ბ. სტალინს“ 1920 წ. 12 ან 13 ივლისს პოლონეთთან ზავის საკითხზე, „პროექტი რეზოლუციისა“ პროფესიული კავშირების ამოცანები და მათი განხორციელების მეთოდები“, „სიტყვა რკპ(ბ) მოსკოვის საგუბერნიო კონფერენციაზე მოსკოვის კომიტეტის არჩევნების გამო 1920 წ. 21 ნოემბერს“. ეს ნაწარმოებნი მიძღვნილია პარტიული და პროფესიული მშენებლობის ამოცანებისა და საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკისადმი. (საქდესი).

ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ

ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე მაღალნაყოფიერად იმუშავა აგურის მექანიკური ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც 20 ნოემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა წლიური გეგმა, დაამზადა მხოლოდ პირველი ხარისხის აგური, გაადიდა შრომის ნაყოფიერება, დაზოგა საწვავი და 6 პროცენტით შეამცირა თვითღირებულება.

ქარხნის კოლექტივმა იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით შენებლობებს მიაწოდოს 1 მილიონი ცალი აგური.

ᲮᲐᲨᲣᲠᲘ. (საკ. კორ.). სამტრესტის გომის სპირტსახდელმა ქარხანამ 18 ნოემბრისათვის 102 პროცენტით შეასრულა სპირტის გამოხდის წლიური გეგმა და წინა წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 30 პროცენტით გაადიდა.

ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოხადოს 20.800 დეკალიტრი სპირტი, 1 პროცენტით შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება, დაზოგოს 15 ტონა საწვავი და 5 ტონა ნედლეული.

პ ა რ ტ ი უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

აღვზაარდოთ მასებში შრომის სოციალისტური დისციპლინა

თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის საგამომჭრელო საამქროში კომკავშირელი გამომჭრელების დ. პროცენკოს, ვ. კრავეცისა და რ. კუჩერენკოს დაზგები ხშირად გაჩერებული იყო. ამ ამხანაგებმა საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლა დაამთავრეს და თავის დროზე მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებდნენ ყოველდღიურ ნორმებს, ხოლო ოქტომბერსა და ნოემბერში მათი დაზგები ხშირად უქმად იდგნენ.

ახალგაზრდა გამომჭრელებთან საუბარში გამოირკვა, რომ ისინი მუშა ახალგაზრდობის საღამოს სკოლის მერვე კლასში სწავლობენ. მეცადინეობა საღამოს 7 საათიდან იწყება. მათ ფაბრიკის დირექციას სთხოვეს ერთცვლიან სამუშაოზე გადაყვანა, რათა ხელი არ შეშლოდათ სწავლასა და მუშაობაში, მაგრამ ამ კანონიერ მოთხოვნას დირექციამ ყურადღება არ მიაქცია. ამიტომ იყო, რომ ამ უკანასკნელ დროს ახალგაზრდა გამომჭრელები ხშირად აცდენდნენ სამუშაოს. როგორც გამოირკვა, ახალგაზრდებს რამდენჯერმე მიუმართავთ ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციისთვისაც, მაგრამ პარტბიუროს მდივანი ამხ. შ. ჯოხაძე მათ მხოლოდ დაპირებებით ისტუმრებდა. მხოლოდ რამდენიმე სამეცადინო დღის გაცდენის შემდეგ „მოხერხდა“ მათი დილის ცვლაზე გადაყვანა.

სახელმწიფო გეგმის ვადამდე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა შორის შრომის სოციალისტური დისციპლინის დანერგვას და განმტკიცებას. შრომის დისციპლინა მარტო სამუშაოზე თავის დროზე გამოცხადებას როდი გულისხმობს. იგი ნიშნავს გამომუშავების ნორმების ყოველდღიურად გადაჭარბებას, ყველა საწარმოო ოპერაციის მაღალხარისხოვნად შესრულებას, დაზგებისა და ინსტრუმენტების სანმეშუმოდ მოვლას, ნედლეულის მომჭირნეობით ხარჯვას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის დაუღალავ ბრძოლას.

როგორ არის დაყენებული შრომის დისციპლინა ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკაში? უკანასკნელი თვეების განმავლობაში ადგილი აქვს სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადებისა და სამუშაო დღის გაცდენის მრავალ შემთხვევას. შრომის დისციპლინას უმთავრესად ახალგაზრდა მუშები არღვევენ.

ფაბრიკის მიერ გამოშვებულ პროდუქციას ბევრი მომხმარებელი უჩივის. დაბალხარისხოვანია ბავშვის ფეხსაცმელი. დეფექტები აქვს ქალისა და მამაკაცის ფეხსაცმელსაც. მკერავთა ბრიგადა, რომლის ოსტატად ა. ანსიფეროვა მუშაობს, სისტემატურად დაბალი ხარისხის ფეხსაცმელს უშვებს. ბრიგადის მიერ გამომშვებული პროდუქციის თვითღირებულება მაღალია. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით უშვებს დაბალი ხარისხის პროდუქციას რანტის მკერავი მ. ათაბეგოვა.

ხარისხის საკითხი ახლა საწარმოს მუშაობის ძირითადი საკითხია. ბრძოლა მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის თვითეული მუშის საპატიო მოვალეობაა.

ფაბრიკაში არიან ისეთი მუშები, რომლებიც ხშირად აცდენდნენ სამუშაო საათებს და დღეებსაც. კომკავშირელები ფეხსაცმლის შემკერავი თ. ტოლკაჩოვა, კალაპოტის გადამტანი გ. ბერიძე და სხვები სისტემატურად არღვევენ შრომის დისციპლინას, იგვიანებენ სამუშაოზე ან აცდენენ სამუშაო დღეს.

რა ზომები მიიღეს სამუშაოს გამცდენთა წინააღმდეგ? მართალია, აღნიშნულ ამხანაგებს ადმინისტრაციული სასჯელი დაედოთ, მაგრამ მარტო საყვედური ან სხვა ადმინისტრაციული ზომა საქმეს არ შველის. საჭირო იყო შრომის დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის ამოქმედება, რისთვისაც გამოყენებული უნდა ყოფილიყო საერთო კრება, საფაბრიკო კედლის გაზეთი, აგიტატორთა საუბრები და სხვ. მაგრამ ასე არ მოხდა. აღნიშნული ამხანაგების შესახებ არც საამქროს კომკავშირულ ორგანიზაციას და არც საამქროს პარტიულ ჯგუფს არ უმსჯელიათ. ამიტომ არის, რომ ფაბრიკაში შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები კვლავ დიდია. შრომის დისციპლინა სუსტად არის დაყენებული ისეთ მოწინავე საამქროშიც კი, როგორიც მეორე საამქროა. ამ საამქროს კონტროლიორი მ. აბაშიძე, ქუსლის გამსწორებელი რ. სარქისოვი და სხვები სისტემატურად იგვიანებენ სამუშაოზე.

ფაბრიკის პირველადი პარტიული ორგანიზაცია სუსტად იბრძვის მუშათა შორის შეგნებული დისციპლინის დანერგვისათვის. პარტორგანიზაცია არ იყენებს აღმზრდელობითს ზომებს შრომის დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ. პარტიულ ბიუროს უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ერთხელაც არ უმსჯელია შრომის დისციპლინის საკითხებზე.

„პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, — ამბობდა პარტიის XIX ყრილობაზე ამხ. მალენკოვი, — რომ უფრო სწრაფად აღმოფხვრან მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან შრომის ნაყოფიერების გადიდებას, და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, თვითეულ საწარმოში, თვითეულ საწარმოო უბანზე უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების გადიდების დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება“. მაგრამ როგორ შეძლებს ამას პარტიული ორგანიზაცია, როდესაც შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის საკითხები მხოლოდ ფაბრიკის პროფესიულ ორგანიზაციას აქვს „გადაკისრებული“.

ახალგაზრდობაში შრომის სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის სუსტად მუშაობს კომკავშირის ორგანიზაციაც. აღსანიშნავია, რომ ოთხი თვის განმავლობაში კომკავშირის კომიტეტს მდივანი არა ჰყოლია.

უმაგალითო შრომითი აღმავლობაა მთელს ჩვენს ქვეყანაში. პარტიის XIX ყრილობის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა და ამ ყრილობაზე დიდი სტალინის მიერ წარმოთქმულმა შთამაგონებელმა სიტყვამ საბჭოთა კავშირის მშრომელთა უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია.

ეს პატრიოტული აღმავლობა ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკაშიც დაიწყო. სტახანოვურ ვახტზე დადგა და გადიდებული საწარმოო ვალდებულებანი იკისრა ფაბრიკის ბევრმა მუშამ და ბრიგადამ. სტახანოვურ ვახტზე დადგა საძირის გამომჭრელი საამქროს ახალგაზრდულ-კომკავშირული ბრიგადა, რომელსაც კომკავშირელი ი. არჩვაძე ხელმძღვანელობს. მან ოქტომბრის დავალება 130 პროცენტით გაანაღდა. ყოველდღიურ ნორმას 200 პროცენტით ასრულებს გადამჭიმავი, კომუნისტი მ. თედიაშვილი.

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ფაბრიკის მუშაობაში იერიშობანა, გადაჭარბებით შეავსრულოთ წლის შემდგომი თვეების დავალებანი, საჭიროა ფაბრიკის დირექცია და პარტიული ორგანიზაცია სათავეში ჩაუდგნენ მუშათა მძლავრ პოლიტიკურ და საწარმოო აღმავლობას, მთლიანად აღმოფხვრან შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, აღზარდონ ყველა მუშა შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით.

მ. ვარდოსანიძე.

თბილისი. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის სტახანოველმა ზეინკალმა მიხეილ ბაღდასაროვმა ვადამდე გაანაღდა მეხუთე ხუთწლიანი გეგმის მეორე წლის დავალება და უკვე დიდი ხანია 1953 წლის ანგარიშში მუშაობს. ამჟამად მოწინავე ზეინკალი სტახანოვურ ვახტზე დგას და დღიურ დავალებას სისტემატურად 250-300 პროცენტით ასრულებს. **სურათზე:** მიხეილ ბაღდასაროვი მუშაობს ბოთლებზე ალუმინის ხუფის დამცობი ავტომატის აწყობაზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

გუმბრინი გეგმის გადამეჭეჭით

გუმბრინის საწარმოო კოლექტივმა მაღალნაყოფიერი შრომით 10 თვის დავალება მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გაანაღდა და ქვეყანას გეგმის გადამეტებით ათასობით ტონა გუმბრინი მიაცა.

წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის თავდადებულად მუშაობს საფქვავი ქარხნის კოლექტივი, რომელმაც ნოემბრის პირველი ნახევრის დავალება 116 პროცენტით შეასრულა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურებულმა მესამე მაღარომ ნოემბრის პირველი ნახევრის გეგმას 17 პროცენტით გადააჭარბა.

გარდამავალი დროშა ავტოსარემონტო ქარხანას

პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოებში სოციალისტური შეჯიბრების მესამე კვარტალის შედეგები და შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნო თბილისის ავტოსარემონტო ქარხანა (დირექტორი გ. კიკნაძე, პარტბიუროს მდივანი ა. ნიკურაძე, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე შ. გოცაძე).

ქარხნის კოლექტივს კვლავ დაეტოვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და მიეცა პირველი ფულადი პრემია.

წერილები რედაქციას

მოსავლიანობის გადიდების სასარგებლო ინიციატივა

მეორე წელია, რაც ქუთაისის რაიონის სოფელ გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლასთან“ მოწყობილია სასოფლო-სამეურნეო კულტურის სახლი. ამ სახლის მიზანია დაეხმაროს კოლმეურნეებს მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმების შესრულებაში, ხელი შეუწყოს საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევათა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების საკოლმეურნეო წარმოებაში დანერგვას.

კულტურის სახლში მოწყობილია საილუსტრაციო დარბაზი, სადაც სისტემატურად მიმდინარეობს აგროზოოტექნიკური სწავლების კურსების მეცადინეობა. დარბაზის კედლებზეა დიაგრამები, რომლებიც გვიჩვენებენ კოლმეურნეობის წინსვლას, მოსავლიანობის სისტემატურ ამაღლებას და კოლმეურნეთა შემოსავლების ზრდას. აქვე გამოფენილია სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მინერალური და ორგანული სასუქების ნიმუშები, მოწყობილია რადიომიმღები. კულტურის სახლში საღამოობით იკრიბებიან კოლმეურნეები, ისმენენ ლექციებს-საუბრებს, რადიოგადაცემას, კითხულობენ სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურას.

სასოფლო-სამეურნეო კულტურის სახლს აგრონომი ვ. ბერაძე ხელმძღვანელობს. აქ სახლისათვის სპეციალურად გამოყოფილ 20 ჰექტარ ნაკვეთზე მოწყობილია საინტერესო ცდები.

საცდელ ნაკვეთზე წელს ბუდნობრივად (თვითეულში 3-4 ძირი) ნათესი სიმინდის ყოველ ჰექტარზე მიღებულია 54 ცენტნერი სიმინდი, მწკრივად ჩვეულებრივად ნათესზე კი—35 ცენტნერი, კოლმეურნეობამ გაითვალისწინა ცდის ეს კარგი შედეგები და გადაწყვიტა სიმინდი მომავალში მთლიანად კვადრატულ-ბუდნობრივად დათესოს.

კარგად იყო მოწყობილი ცდები ბოსტნეულ კულტურებზე, რამაც საუკეთესო შედეგი მოგვცა: ჩვეულებრივად მწკრივად დარგული პომიდორის ყოველ ჰექტარზე მიღებულ იქნა 62 ცენტნერი მოსავალი, კვადრატულ-ბუდნობრივი წესით დარგულის ყოველ ჰექტარზე კი—99 ცენტნერი.

საინტერესო შედეგია მიღებული კიტრის კულისური ანუ სიმინდის ზოლებად ნათესს შუა თესვის შედეგად, თუ კიტრის სუფთა ნათესის თვითეულმა ჰექტარმა 35 ცენტნერი მოსავალი მოგვცა, კულისურად თესვის შემთხვევაში ჰექტარზე აღებულია 80 ცენტნერი კიტრი და დამატებით მეორე მოსავლის სახით 12 ცენტნერი სიმინდი.

გასული წლიდან დაწყებულია მუშაობა ახალი გეგუთური სიმინდის ჰიბრიდის მისაღებად, რისთვისაც ხდება დამტვერვა; აბაშის ყვითელი ჯიშის სიმინდს აჯვარებენ გეგუთური ყვითელი ჯიშის სიმინდს. მიღებული ჰიბრიდი წელს 8 ჰექტარზე დათესა და მოსავალიც კარგი მიიღეს. მომავალ წელს ჰიბრიდს ტფრო მეტ ფართობზე, დაახლოებით 80 ჰექტარზე დათესავენ. საცდელ საქმეში აქტიურად მონაწილეობენ კოლმეურნეობის აგრონტექნიკოსები რ. კილაძე, შ. კუხიანიძე და მცდელი კოლმეურნეები — ქ. გონგაძე, თ. ფესტვენიძე და ს. ბრეგვაძე.

სასოფლო-სამეურნეო კულტურის სახლს მჭიდრო კავშირი აქვს სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებთან.

გეგუთის კოლმეურნეობასთან არსებული კულტურის სახლის მუშაობის გამოცდილება ფართოდ უნდა გავავრცელოთ.

კ. ცაგარელი,

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

სრულად გამოვიყენოთ მნიშვნელოვანი რეზერვი

დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს ლითონის ჯართს. იგი წარმოადგენს უაღრესად საჭირო და იაფ ნედლეულს მეტალურგიული მრეწველობისათვის. ჩვენს რესპუბლიკაში ჯართზე მოთხოვნილება განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც ამუშავდა ქართული ფოლადის კერა — ი. ბ. სტალინის სახელობის რუსთავის მეტალურგიული ქარხანა.

მიუხედავად ამისა, ჩვენი რესპუბლიკის საკოლმეურნეო მინდვრებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიებზე ხშირად ყრია მწყობრიდან გამოსული იარაღ-მანქანების ათობით ტონა ლითონის მსხვილი ნაწილები. გარდა ამისა, კოლმეურნეობათა დამხმარე საწარმოებში — სამჭედლო სახელოსნოებში, სახერხ ქარხნებში, აგრეთვე მოსახლეობის ეზოებში მიმოფანტულია უვარგისი გუთნები, ურმის ლითონის ღერძები და სხვ. ასეა, მაგალითად, წითელწყაროს, ლაგოდეხის, გურჯაანის, ყვარლის რაიონებში. მეტად თუ ნაკლებად მსგავსი მდგომარეობაა რესპუბლიკის დანარჩენ სასოფლო რაიონებშიც.

საჭირო ამ ჯართის შეგროვება. ამ მხრივ დიდი როლის შესრულება შეუძლიათ რაიონული საბჭოების აღმასკომებს, კომკავშირის რაიონულ კომიტეტებს. მათ სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა უნდა გასწიონ მოსახლეობაში ლითონის ჯართის შეგროვების დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შესახებ.

გამოუსადეგარი ლითონის ნაწილების შეგროვებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანონს სოფლის კოლმეურნე და მოსწავლე ახალგაზრდობამ.

შავი და ფერადი ლითონის ჯართის დამატებით შეგროვება რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას საშუალებას მისცემს გეგმის გადამეტებით ათობით ტონა მაღალხარისხოვანი ფოლადი დაუმზადოს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობას.

ს. მოსულიშვილი,

სტალინის სახელობის რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების კონტროლიორი.

პარტიის XIX ყრილობისადმი მიძღვნილი ლექციები და მოხსენებები

ხაშური. (ს.კ. კორ.). პარტიის ხაშურის რაიკომი სერიოზულ მუშაობას ეწევა საბჭოთა კავშირის კომპარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა, ამხანაგ ი. ბ. სტალინის ისტორიული სიტყვისა და მისი კლასიკური ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ შესასწავლად. ყრილობის დოკუმენტების პოპულარიზაციას ეწევა ასობით აგიტატორი. რაიკომის ლექტორ-მომხსენებელთა ჯგუფის მიერ უკვე ჩატარებულია პარტიის XIX ყრილობისადმი მიძღვნილ საკითხებზე 73 ლექცია, რომლებზეც სამი ათასამდე კაცი დასწრო.

ლექციები წაკითხულ იქნა შემდეგ საკითხებზე: „მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულება წინგადადგმული დიდი ნაბიჯია სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის განვითარების გზაზე“, „საბჭოთა კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები“, „საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობა ახალ ხუთწლედში“, „ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმა მოქმედებაში“, „მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობა მეხუთე ხუთწლედში“ და სხვ.

ფაქტები ამხილებენ

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი აშკარად გაღიზიანებულია.

აგენტურა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვის ორგანოები გზავნიან მშვიდობისმოყვარე დემოკრატიულ ქვეყნებში, ზედიზედ განიცდის მარცხს. ფხიზლად იცავენ რა თავიანთ მონაპოვარს, სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების მშრომელები კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით ამხილებენ და ძირკვავენ ამერიკა-ინგლისის ჯაშუშთა ბუდეებს.

სახალხო-დემოკრატიულ სახელმწიფოებში მტრის აგენტურის ყოველი ახალი სასამართლო პროცესი კვლავ და კვლავ ამხილებს ამერიკის მმართველ ზედაფენას როგორც ჯაშუშობისა და დივერსიების ორგანიზატორს მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებში.

დანაშაულებრივ ანტიხალხურ შეთქმულებათა სულისჩამდგმელნი, რომლებსაც დანაშაულზე წასწრეს, ცდილობენ კვალის დაფარვას. სწორედ ამით არის ნაკარნახევი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ამ დღეებში გამოქვეყნებული ნოტა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობისადმი. ამ „დოკუმენტში“ არის ცდა გაემიჯნონ ჯაშუშურ-დივერსიულ ბუდეებს, რომლებიც ამერიკის დაზვერვამ შექმნა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ტერიტორიაზე. ამავე დროს მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ეს ძირგამომთხრელი საქმიანობა განსაკუთრებით ფართოდ განვითარდა მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა მიიღო „1951 წლის კანონი“ სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ მოქმედი ჯაშუშებისა და დივერსანტების დასაფინანსებლად 100 მილიონი დოლარის ასიგნების შესახებ.

მიმართავენ რა ამერიკელი პოლიტიკოსებისათვის ჩვეულ საშუალებას — დემაგოგიას და მოტყუებას, ზემოაღნიშნული ნოტის შემდგენელნი თვალთმაქცურად გაიძახიან: რასა ბრძანებთ, შეერთებული შტატები „არ ეწევიან აგრესიულ საქმიანობას, რომელიც ეწინააღმდეგებოდეს გაერთიანებული ერების წესდებას, და განზრახვა არა აქვთ აწარმოონ ასეთი საქმიანობა ამ 100 მილიონი დოლარის ასიგნებასთან დაკავშირებით...“ ამ ფონდის დანიშნულება თურმე ის ყოფილა, რომ გაუწიოს... ჰუმანური დახმარება ლტოლვილებს. რაც შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიურ წარმომადგენლებს სხვა ქვეყნებში, მათ, როგორც ამერიკის ნოტა ცდილობს დაგვარწმუნოს, არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ზემოაღნიშნულ ჯაშუშურ-ტერორისტულ ცენტრებთან. ისინი თითქოს მარტო იმას აკეთებენ, რომ „ასრულებენ თავიანთ მოვალეობას...“

აი აგრესორთა ფარისეველური შენიღბვის ნიმუში! ჯაშუშობის, დივერსიებისა და სხვა უაღრესად დანაშაულებრივ საშუალებათა ოკეანესგაღმელ ორგანიზატორებს, თურმე ნუ იტყვით, არ მოსწონთ, როცა საგნებს თავის სახელს უწოდებენ. ისინი ამჯობინებენ, რომ მკვლელთა, ჯაშუშთა და სხვა ამერიკელ მსტოვართა დაფინანსებას და მშვიდობისმოყვარე ქვეყნებში შეგზავნას ეწოდებოდეს „ლტოლვილებისადმი ჰუმანური დახმარება“.

მაგრამ ჯაშუშობისა და ტერორის ამერიკელი ორგანიზატორები ვერ შეძლებენ კვალის დაფარვას. ფაქტები, უცილობელი ფაქტები ამხილებენ ამ ვაჟბატონების დანაშაულებრივ ზრახვებსა და სისხლიან საქმეებს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ.

ხომ ფაქტია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მსოფლიოში ერთადერთი მთავრობაა, რომელიც იღებს და ახორციელებს კანონებს „ყოველი იმ შერჩეული პირის“ დაფინანსების შესახებ, რომელიც შეძლებს შეგზავნონ მშვიდობისმოყვარე ქვეყნებში და გამოიყენონ როგორც ატლანტიკის ბლოკის მესვეურთა დაქირავებული. აგრეთვე, როგორც ნათქვამია „1951 წლის კანონში“, „სხვა მიზნებისათვის“.

ხომ ფაქტია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე ჰიტლერელი ფაშისტებისაგან, პოლონელი, ჩეხი და სხვა გამცემლებისაგან, რომლებმაც ამერიკელ ხელისუფალთ შეაფარეს თავი, აგრეთვე კაცობრიობის სხვა ნაძირალებისაგან ადგენენ სპეციალურ სამხედრო ნაწილებს, რომლებსაც ამზადებენ თავისუფლებისმოყვარე ხალხთა წინააღმდეგ საზიზღარი ტერორისტული აქტების განხორციელებისათვის. ამერიკის სამხედრო ხროვის მიერ სპეციალურ „შენაერთებად“ დარაზმული ამ ბანდის ამოცანა, როგორც „1951 წლის კანონის“ ერთ-ერთი შემდგენელი კერსტენი ამბობს, ის არის, რომ „შიშის ზარი დასცეს მოსახლეობას“. და აი ამ ბანდიტთა ბრბოების დაფინანსებას და გაწვრთნას ვაშინგტონელი პოლიტიკოსები „ლტოლვილებისადმი ჰუმანურ დახმარებად“ ასაღებენ!

განა ფაქტი არ არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი ზედაფენა უშუალოდ წარმართავს ამერიკის დაზვერვის მიერ იმ სუვერენული სახელმწიფოების ტერიტორიაზე შექმნილი ჯაშუშურ-დივერსიული ბუდეების დანაშაულებრივ საქმიანობას, რომლებსაც დიპლომატიური ურთიერთობა აქვთ ამერიკის შეერთებულ შტატებთან?

ჯაშუშთა ცენტრებისა და ჯგუფების საქმეზე იმ სასამართლო პროცესების მსვლელობაში, რომლებიც უკანასკნელი წლების მანძილზე მოეწყო პოლონეთში, უნგრეთში, ჩინეთში, ბულგარეთსა და სხვა ქვეყნებში, უცილობლად დამტკიცებულია, რომ ამ ჯგუფების დანაშაულებრივ საქმიანობას წარმართავდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის სამხედრო-სადაზვერვო ორგანოები. გამცემლების კოსტოვის, ბაიკის, სლანსკის ყველა დანაშაულებრივი შეთქმულების, პოლონეთის ჯარში მოქმედი ჯაშუშური ორგანიზაციების, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილი დივერსიული ორგანიზაციებისა და ჯგუფების და სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში სხვა შეთქმულების ცენტრების კვალი მუდამ ვაშინგტონისაკენ მიდიოდა. ამ ანტიხალხურ შეთქმულებათა მომზადებაში ყველგან აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ამერიკის დიპლომატიური და სამხედრო წარმომადგენლები.

„დოკუმენტალურად დამტკიცებულია,—ნათქვამი იყო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის 1951 წლის 24 ნოემბერს გამოქვეყნებულ განცხადებაში, — რომ თვითეულ შემთხვევაში, როცა უნგრეთში ფაშისტური და პროფაშისტური რეაქციული ელემენტები შეთქმულებებს აწყობდნენ იმ მიზნით, რომ დაემხოთ ჩვენს ქვეყანაში არსებული დემოკრატიული წყობილება, ამ შეთქმულებებში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის აგენტები და მისი მრავალი დიპლომატიური და სხვა წარმომადგენლებიც კი, რომლებსაც ოფიციალური სახელმწიფო თანამდებობანი უჭავიათ, არა მარტო აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ, არამედ შეთქმულებში ინიციატორებისა და ხელმძღვანელების როლსაც ასრულებდნენ“.

რუმინეთში, როგორც ამერიკის დაზვერვის აგენტები, მხილებულ იქნენ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური წარმომადგენელი ბერტონბერი, ამერიკის სამხედრო მისიის მეთაური გენერალი კორტლანდ ვან სკაველერი, მრჩეველები როი მელბურნი და ჩარლ ჰულიკი, აგრეთვე ამერიკის ბევრი სხვა დიპლომატი და ოფიციალური წარმომადგენელი. ამ დღეებში პრაღაში წარმოებულ სასამართლო პროცესზე იმ ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულების ცენტრის ხელმძღვანელი ბირთვის საქმის გამო, რომელსაც მეთაურობდა ამერიკის იმპერიალიზმის აგენტი სლანსკი, გამოაშკარავებულ იქნა ახალი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ამერიკელი დიპლომატები და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მაღალი თანამდებობის მოხელეები პირადპირ მონაწილეობას იღებდნენ ამ შეთქმულებაში.

ყოველივე ამის შემდეგ ვაშინგტონში ირწმუნებიან, რომ შეერთებული შტატების დიპლომატიური წარმომადგენლები საზღვარგარეთ სხვას არაფერს აკეთებენ, გარდა იმისა, რომ „თავიანთ მოვალეობას ასრულებენ“. ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, იბადება კითხვა, როგორია ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიური წარმომადგენლების „მოვალეობანი“ საზღვარგარეთის ქვეყნებში?

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ასიგნობანი საზღვარგარეთ ჯაშუშური მუშაობის გასაწევად მხოლოდ ნაწილია იმ უდიდესი თანხებისა, რასაც ამ დანაშაულებრივი მიზნებისათვის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეები ხარჯავენ. ამერიკელ გადასახადის გადამხდელთა ხარჯზე ბიუჯეტის ასიგნობებთან ერთად ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიები კერძო წესით დიდ სახსრებს იძლევიან ჯაშუშობისა და დივერსიების დასაფინანსებლად.

ამერიკული ჟურნალის „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტის“ აღიარებით, მარტო 1951 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მხოლოდ უდიდესმა მონოპოლიებმა—დიუპონის, მელონის, „ჯენერალ მოტორსის“ და სხვა ფირმებმა 350 მილიონ დოლარზე მეტი მისცეს სხვადასხვა რეაქციულ ორგანიზაციებს, რომლებიც ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან მშვიდობისმოყვარე ქვეყნების წინააღმდეგ. მაგალითად, ასეთ ორგანიზაციებს ეკუთვნის „ფორდის ფონდი“, რომელსაც ერთ დროს მეთაურობდა საყოველთაოდ ცნობილი ჯორჯ კენანი. ჯაშუშების, მკვლელების, დივერსანტების, მავნებლების შეგზავნა — აი რით ამოიწურება ისეთი ორგანიზაციების საქმიანობა, როგორიც არის „ფორდის ფონდი“, რომელსაც ომის გამჩაღებელთა მეგაზეთე მჯღაბნელები გვიხატავენ, როგორც „თავისუფლებისათვის ჯვაროსნულ ლაშქრობას“.

ფარისეველობა ვაშინგტონელი ბნელიფიზმოციქულებისა, რომლებიც „თავისუფლებისათვის მებრძოლთა“ სამოსელით ირთვებიან, ყველგან იწვევს მილიონობით ადამიანის აღშფოთებას, მათ შორის თვით შეერთებულ შტატებშიც. მაგალითად, გაზეთმა „კურიერ ჯორნელმა“, რომელიც ლუისვილში გამოდის, გამოაქვეყნა წერილი ერთ-ერთი თავისი მკითხველის უორდისა, რომელიც აშკარა ირონიით წერდა: „ჯვაროსნული ლაშქრობა თავისუფლების დასაცავად“, რასაც უხვად აფინანსებენ და რეკლამას უწევენ დიდი საქმიანი წრეები, იმას ნიშნავს, რომ თავისუფლება ისე ბევრია ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომ მოხარული ვიქნებოდით უცხოეთში გაგვეტანა მისი ნამეტი... მილიონობით გამოფხიზლებულ ადამიანს ევროპასა და აზიაში ხუსტი წარმოდგენა აქვს იმაზე, თუ რა არის თავისუფლება. ამ ცნებაში შედის არა მარტო აზრის, სიტყვისა და პრესის თავისუფლება, არამედ, კერძოდ და განსაკუთრებით, ხალხის თავისუფლება ექსპლოატაციისაგან, თავისუფლება ეკონომიკური კრიზისებისაგან, უმუშევრობისა და სიღატაკისაგან... მართალია, უკანასკნელ წლებში ევროპასა და აზიაში დაიკარგა ზოგიერთი უფლება და თავისუფლება: მემამულეებისა და კაპიტალისტების თავისუფლება — მონების მდგომარეობაში იყოლიონ 800 მილიონი კაცი. და სწორედ ამ ყალბი „თავისუფლების“ აღდგენას ცდილობენ ჩვენი მდიდრები, რომლებიც ჯვაროსნულ ლაშქრობას აწყობენ...“

ტერორი და დივერსია განწირულთა იარაღია. მას ხმარობს მხოლოდ ის, ვინც გრძნობს, რომ მოსწყდა ხალხს, ვინც იცის, რომ მისი გეგმები საძულველია ხალხებისათვის. მაგრამ სწორედ ასეთია ამერიკელ აგრესორთა კაცთმოძულეობრივი გეგმები, რომლებსაც მთელი პროგრესული კაცობრიობა უარყოფს.

ჯაშუშობის ვაშინგტონელ სულისჩამდგმელთა და მათ დაქირავებულ ბანდიტთა დანაშაულებრივი ხრიკები განწირულია ჩასაფშვავად. ამის თავდება სახალხო-დემოკრატიული წყობილების სიმტკიცე, თავისუფალი ხალხების, კომუნისტური და მუშათა პარტიების დიდი რევოლუციური სიფხიზლე. ხალხებმა ძალიან კარგად იციან, რომ რაც უფრო უიმედოა მშვიდობის მტრების საქმე, მით უფრო ხშირად ჩაებღაუჭებიან ისინი ბრძოლის „უკიდურეს საშუალებებს“. იმპერიალისტური რეაქციის დანაშაულებრივ ხრიკებს მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკი უპასუხებს სიფხიზლის შემდგომი გაძლიერებით, თავისი რიგების ერთიანობისა და დარაზმულობის განმტკიცებით.

ერეკვნული ბიბლიოთეკა

თ ე ა ტ რ ი

შემოქმედებითი მუშაობის გაღრმავების გზით

(ბათუმის თეატრის ახალი სპექტაკლები)

გასული წლის ზაფხულში ბათუმის თეატრი საგასტროლოდ იყო თბილისში. დედაქალაქის საზოგადოებრობა ტაეტობლად შეხვდა თეატრის კოლექტივს. გასტროლების დამთავრების შემდეგ გამართულ შეხვედრებზე თეატრის შემოქმედებითს მუშაკებს მიუთითეს მათი საქმიანობის როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებზე. ბათუმის თეატრის მუშაობის მთავარი და ძირითადი ნაკლი იყო მისი სპექტაკლების არასაკმაო პროფესიული დონე, რაც რეჟისურის სისუსტით იყო გამოწვეული, წარმოდგენების არადამაკმაყოფილებელი მხატვრული გაფორმება, ერთიანი სტილის უქონლობა აქტიორთა თამაშში და მეტყველებაში. ქართული სალიტერატურო ენის სწორინდის დაცვა უგულებელყოფილი იყო ბათუმელთა სპექტაკლებში. მთელ რიგ მსახიობთა მეტყველებაში თავს იჩენდა პროვინციალიზმი, კუთხური კილოკავით გატაცება, ქართული ენის გრამატიკული წყობის დარღვევა.

გასტროლების შემდეგ განვლილ სეზონს არსებითი ცვლილება არ შეუტანია თეატრის საქმიანობაში. მდგომარეობა თითქმის უცვლელი დარჩა. ამის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს ამ სეზონის უკანასკნელი ახალი დადგმა—ბ. ლავრენევის „რღვევა“, რომელიც თეატრმა მიმდინარე წლის ივნისში უჩვენა. პიესამ ვერ ჰპოვა ბათუმის თეატრში ღირსეული შემსრულებელები. სპექტაკლი არ არის შეკრული, კომპაქტური. ზოგიერთ კარგად გააზრებულ სცენებთან ერთად ვხვდებით უგემოვნო, არამხატვრულ ადგილებსაც. მსახიობები მეტყველებენ სხვადასხვაგვარად, ზოგი ისე ხმადაბლა ლაპარაკობს, რომ სიტყვა არ მიდის მაყურებლამდე.

ზომაზე დაბალი ტონით მეტყველება საერთოდ ამ თეატრის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლია. იგი ახასიათებს ისეთ წამყვან მსახიობებსაც, როგორიც არიან ნ. თეთრაძე და ი. კობალაძე. ამ სერიოზული ნაკლის გამო სუსტია სპექტაკლების მხატვრული ზემოქმედების ძალა.

ახალ, 1952-53 წლის სეზონს ბათუმის თეატრი უფრო მომზადებული შეხვდა, ვიდრე გასულ წლებში. თეატრმა ხელმძღვანელობამ ერთგვარი მუშაობა შეასრულა სპექტაკლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამან ის ნაყოფი გამოიღო, რომ გაიზარდა მაყურებელთა ლტოლვა თეატრისადმი, გაიზარდა სპექტაკლებზე დასწრება.

ბათუმის თეატრის შემოქმედებითი საქმიანობის გადახალისების მაჩვენებელია ამ სეზონის ორი ახალი დადგმა—ი. ვაკელის „რვალი“ და ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“ (გასცენიურებული გ. ბერძენიშვილის მიერ), რომლებიც თეატრის მთავარმა რეჟისორმა შ. მესხმა განახორციელა რეჟისორებთან შ. ინასარიძესთან და გ. მრავლაძესთან ერთად.

„რვალში“ შ. მესხმა თითქმის უცვლელად გაიმეორა თავისი რეჟისორული გეგმა, რომლითაც მან ეს პიესა დადგა რუსთაველის თეატრის სცენაზე. სპექტაკლი თუმცა სხვა თეატრის ნამუშევარის მხატვრულ ასლს წარმოადგენს (შემდეგისათვის რეჟისორი უნდა ერიდოს ასეთ პრაქტიკას, ვინაიდან იგი ხელს არ უწყობს თეატრის საკუთარი შემოქმედებითი სახის გამომუშავებას), მასში მაინც იჩრქნობა ზოგიერთი შემოქმედებითი სიახლე.

ჩინებულად ასრულებს თოლვინთეს როლს მსახიობი მგელაძე. მისი ღირსება ის არის, რომ მთელი სპექტაკლის მანძილზე იგი არსად არ ღალატობს ბუნებრივობას, თამაშობს თავისუფლად, ძალდაუტანებლად და ბევრი რამ საკუთარი შეაქვს ამ სახის გაგებაში. მსახიობმა შექმნა თოლვინთეს შესანიშნავი სახე, რომელიც მაყურებელში სიცილს იწვევს არა ნაძალადევი, არამედ სადა, ბუნებრივი, სერიოზული თამაშით.

აქტიორული შემოქმედების მხრივ თოლვინთე ყველაზე ორიგინალური სახეა სპექტაკლში. თუ დანარჩენი შემსრულებლები — მ. ჯალაღანია (ზურაბი), ჰ. ინწკირველი (კარბიოზი), ვ. შახელი (ოველი) რეჟისორის კარნახით ზუსტად იმეორებენ იმას, რასაც რუსთაველის თეატრის სპექტაკლში აკეთებენ გ. დავითაშვილი, გ. საღარაძე და ვ. დოლიძე, ამასთანავე მსგავსება ხმის ინტონაციითაც კი განიზომება, მსახიობ მგელაძეს თავისი ამოცანა შემოქმედებითად აღუქვამს და თოლვინთეს სახის გამოძერწვაში საკუთარი გაგება შეუტანია.

ბათუმის თეატრის მუშაობის აღმავლობა მკვეთრად გამოჩნდა აგრეთვე „ოთარაანთ ქვრივის“ დადგმით. იგი საკმაოდ მწყობრი, თანაბარი სპექტაკლია, რომელშიც ძირითადად მიღწეულია ანსამბლურობა, აქტიორული თამაშის ერთიანი სტილი. სპექტაკლს ემჩნევა რეჟისორის მაორგანიზებელი, შემაკავშირებელი ხელი.

ოთარაანთ ქვრივის როლს ასრულებს მსახიობი ლ. გურგენიძე. მისი გამომსახველობითი საშუალებანი ლაკონური და თავშეკავებულია, მაგრამ ეს ხელს არ უშლის აქტიორს შექმნას შინაგანად ძლიერი სახე ამაყი მშრომელი ქალისა, მოსიყვარულე დედისა.

გარეგნულად ი. კობალაძე არ შეეფერება 21 წლის ჭაბუკის სახეს, მაგრამ სამაგიეროდ მსახიობი იმდენ სითბოს აქსოვს გიორგის სულიერი მოძრაობის გადმოცემაში, რომ გავიწყდება ეს დასანანებელი შეუსაბამობა. ი. კობალაძე დახელოვნებული მსახიობია, იგი კარგად ფლობს ხმის ინტონაციურ სიმდიდრეს, ეხერხება ნიუანსებით და ნახევარტონებით სარგებლობა. ყველა ეს ხერხი მას ზომიერად აქვს გამოყენებული გიორგის სახის გამოქანდაკებისას.

კარგად თამაშობს და საუცხოოდ კითხულობს ილიას ტექსტს მ. ხინიკაძე (არჩილი).

ლ. აფხაზავამ გარეგნულად სწორად მონაზა კესოს სურათი, მაგრამ სახის შინაგანი ბუნება გაუხსნელი დარჩა. მეტყველების დეფექტის გამო ლ. აფხაზავა ვერ აღმოჩნდა მ. ხინიკაძის ღირსეული პარტნიორი არჩილისა და კესოს სცენაში.

შთამბეჭდავია მეწისქვილე სოსიას როლში ვ. ჩხაიძე.

მიმდინარე სეზონის პირველი ახალი სპექტაკლები მოწმობენ, რომ ბათუმის თეატრის შემოქმედებითს ცხოვრებაში გარდატეხა დაიწყო. ბათუმის თეატრის შრომისმოყვარე კოლექტივს შეუძლია თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიოს, თუ იგი გააძლიერებს მომთხოვნელობას თავისი შემოქმედებისადმი, დაუღალავად იმუშავებს თავისი ოსტატობის გაუმჯობესებისათვის.

შ. გუაჩიძე.

ᲓᲐᲕᲐᲩᲥᲐᲠᲝᲗ ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ

მეშახტეთა ქალაქის ტყიბულის საწარმო-დაწესებულებებმა მშრომელი მოსახლეობის ფართო მონაწილეობით დიდი მუშაობა გასწიეს ზამთრისათვის მოსამზადებლად. დამთავრდა ქალაქის ცენტრალური ქუჩის რეკონსტრუქცია, აგებულ იქნა ახალი და შეკეთდა არსებული ხიდები და ბოგირები, წესრიგზე მოიყვანეს ღვარსაშვები არხები, გაფართოვდა კანალიზაციის ქსელი და სხვ.

მიუხედავად ამისა, ზამთრისათვის მზადების საქმეში მაინც არის ნაკლოვანებები. შახტების საბინაო-კომუნალური განყოფილებები დღემდე ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ მეშახტეთა საცხოვრებელი ბინებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების მოვლა-პატრონობას. არ სრულდება სახლების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის გრაფიკები.

ლენინის სახელობის შახტის საბინაო-კომუნალური განყოფილება (უფროსი ა. ჟორჟოლაძე) ვერ ითვისებს ბინების კაპიტალურ და მიმდინარე რემონტისათვის გათვალისწინებულ თანხებს, რის გამო ბინების რემონტი ჩამორჩა. განსაკუთრებით ცუდად დგას მეშახტეთა ბინების სათბობით მომარაგების საკითხი.

შახტის საბინაო-კომუნალური განყოფილების ზამთრისათვის ყოველმხრივ მომზადებას ხშირად აფერხებს ზოგიერთი სამშენებლო ორგანიზაციის ცუდი მუშაობა. მაგალითად, სამშენებლო ორგანიზაციამ „სანტეხსპეცმონტაჟმა“, რომელსაც რ. ცანავა ხელმძღვანელობს, მეშახტეთა ქუჩაზე ამ რამდენიმე ხნის წინათ წყალსადენის სამუშაოების დროს მთლიანად გააფუჭა ამავე ქუჩის კანალიზაცია.

ზამთრისათვის მზადებისა და საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობის საქმეში სერიოზული ნაკლოვანებები აქვს ქალაქის ცენტრალური უბნის საბინაო-კომუნალურ განყოფილებასაც (უფროსი დ. ვარდოსანიძე). აქ საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტის წლიური გეგმა შესრულებულია მხოლოდ 63 პროცენტით, მიმდინარე რემონტისა—55 პროცენტით. ნაცვლად გათვალისწინებული 15 სახლისა, კაპიტალური რემონტი გაუკეთდა მხოლოდ 10 სახლს. საბინაო-კომუნალური განყოფილების ზოგიერთი სახლი ავარიულ მდგომარეობაშია, მაგრამ ეს განყოფილებისა და ტრესტის ხელმძღვანელ მუშაკებს რატომღაც არ ადარდებთ. ცუდ მდგომარეობაშია აგრეთვე სტალინის ქუჩაზე მდებარე ორსართულიანი სახლი, სადაც 34 ოჯახი ცხოვრობს. სახლში წვიმა ჩამოდის, უვარგისია შესასვლელი კიბეები, იატაკი ბევრ ადგილს დამპალი ან აყრილია, ბინებში არ არის სასმელი წყალი.

ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ზამთრამდე დარჩენილი მცირე დრო, კაპიტალური და მიმდინარე რემონტისათვის მობილიზებულ იქნას ადგილობრივი რესურსები, მაღალკვალიფიციური მუშახელი და მექანიზმები. მეშახტეთა ბინების ზამთრისათვის მომზადების საქმე ტყიბულის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს.

ვ. ციბრეკიძე,
„კომუნისტის“ აკ. კორესპონდენტი.

Ა. Ი. ᲕᲘᲨᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ᲛᲔᲝᲥᲕᲡᲔ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ 21 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

აქ, რა თქმა უნდა, უადგილოა ამ საკითხის უფრო ღრმად განხილვა. ნათქვამი საკმაოა იმისათვის, რომ საკუთარი გავაშუქოთ წყაროები იმ პოზიციებისა, რასაც ადგენენ აგრესიული ატლანტიკის ბლოკის ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც აგრესიის განსაზღვრის წინააღმდეგ გამოდიოდნენ ერთსულოვნად, თუმცაღა სხვადასხვა ელფერით, რასაც იწვევს მათი ეკონომიკური, ფინანსური და პოლიტიკური მდგომარეობის ერთგვარი თავისებურება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ასეთი განსაზღვრის მიღება ერთგვარი დაბრკოლება იქნებოდა მათი აგრესიული გეგმების განხორციელებისათვის, ამას შეეძლო მათთვის ხელიდან გაეგდებინებინა ომის მომაკვდინებელი იარაღი. გენერალური სამბლეის მიერ ასეთი განსაზღვრის მიღება მშვიდობის ყველა გულწრფელ მომხრეს ხელში მისცემდა ახალ იარაღს ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების წინააღმდეგ.

რა თქმა უნდა, ვერავის ვერ მოატყუებს ის მაღალფარდოვანი სიტყვები მშვიდობაზე და ახალი მსოფლიო ომის საფრთხის ვითომდა თავიდან აშორებისადმი მისწრაფებაზე, რომლებიც ფართო ნაკადებად მოდის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ბანაკიდან.

ომების, განსაკუთრებით უკანასკნელი საუკუნის ომების მთელი ისტორია საკმაო მტკივნეულყველებით ადასტურებს კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის ომების ნამდვილ მიზეზებსა და მიზნებს. ამასთან ერთად ომების ისტორია აუწყარავებს აგრეთვე ამა თუ იმ სახელმწიფოთა დაინტერესებას ომის გაჩაღებით და იმას, რომ ისინი ხშირად დაინტერესებული არ არიან იმ საკითხთა მოწესრიგებით, რომლებიც უთანხმოებას იწვევენ ამ სახელმწიფოთა მმართველ წრეებს შორის.

ამას გარკვევით ხედავენ ისეთი ბურჟუაზიული მეცნიერებიც, როგორიც არის საერთაშორისო სამართლის მცოდნე ცნობილი ფრანგი პროფესორი ფოშილი, რომელიც თავის შრომაში „Traité de droit international public“ („საერთაშორისო საჯარო სამართალი“), ეხება რა უკანასკნელ საუკუნეში ომების წარმოშობის საკითხს, იძლევა იმის რამდენიმე მაგალითს, რაც ამა თუ იმ ომის ნამდვილი მიზეზი გახდა. მაგალითად, „1864 წელს დანიის წინააღმდეგ ომის საბაბი გახდა ავგუსტენბურგის ჰერცოგის მემკვიდრეობითი უფლებანი და გერმანიის კონფედერაციის პრეტენზიები. ომის ნამდვილი მიზეზები იყო პრუსიის სურვილი—გაფართოებულიყო“. სხვანაირად რომ ვთქვათ, აქ აგრესიული განზრახვა იყო.

„საფრანგეთ-გერმანიის 1870 წლის ომის საბაბი გახდა საფრანგეთის წარმომადგენლისათვის მიყენებული შეურაცხყოფა, რაც ცნობილი გახდა ცილისმწამებლური დეპეშით, რომელიც, როგორც ბისმარკმა აღიარა, მან შეთხზა ბერლინში სამხედრო მინისტრ როონთან და ფელდმარშალ მოლტკესთან ერთად, რათა გაეღიზიანებინა როგორც გერმანელები, ისე ფრანგები. ნამდვილი მიზეზი კი ის იყო, რომ მას სურდა იარაღის თანამეგობრობის მეოხებით გაეერთიანებინა გერმანია პრუსიის ჰეგემონიით“. სხვანაირად რომ ითქვას, აქაც აგრეთვე აგრესიული განზრახვა იყო.

იმპერიალისტური ომების ერა, როგორც ცნობილია, დაიწყო ესპანეთ-ამერიკის ომით, რომელიც კუბისა და ფილიპინების აშკარად გაძარცვის მიზანს ისახავდა.

ცნობილი მეცნიერი ვირტი თავის წიგნში „თანამედროვეობის მსოფლიო ისტორია“ სპეციალურ განყოფილებაში „ომი კუბისათვის“ 1913 წელს ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ წერდა: „იანკებმა დაიწყეს ყველა ადამიანის თანასწორობაზე ქადაგებით და მშვიდობიანი და თვითმყოფილი ბედნიერებით აღსავსე იდეალური სახელმწიფოსადმი ლტოლვით. ბოლოს და ბოლოს ისინი მივიდნენ იმ რწმენამდე, რომ შეუძლებელია ადამიანთა უთანასწორობის გამოსწორება და დაამთავრეს ძალადობის დამპყრობლური პოლიტიკით. მათ დაიწყეს თავისუფლებით ყველაფერში, ვაჭრობისა და ურთიერთობის თავისუფლებით, სხვა სარწმუნოებისადმი, რასებისა და სახელმწიფოებისადმი შემწყნარებლობით. ისინი მივიდნენ უაღრესად დიდ მფარველობითს ბაჟებამდე, კათოლიკეებისადმი სულ უფრო მზარდ მტრობამდე, მტკიცე აგრესიულობამდე სხვა რასებისა და სახელმწიფოებისადმი“.

ფრანგი მეცნიერი დრიო 1900 წელს თავის შრომაში „პოლიტიკური პრობლემები“ ამის შესახებ წერდა: „ამრიგად, ომი კუბისათვის იყო ეკონომიკური ომი იმ აზრით, რომ იგი მიზნად ისახავდა ამ კუნძულის შაქრის ბაზრის ხელში ჩაგდებას; სწორედ ასევე ჰავაის კუნძულებისა და ფილიპინების ანექსიის მიზეზი იყო მისწრაფება ხელში ჩაეგდოთ ყავა და შაქარი, რასაც ეს ტროპიკული ქვეყნები აწარმოებენ“.

„მაშასადამე, გასაღების ბაზრების დაპყრობა, ტროპიკული პროდუქტების ხელში ჩაგდება — აი ძირითადი მიზეზი კოლონიური ექსპანსიის ამ პოლიტიკისა, რომელსაც იმპერიალიზმს ეძახიან. ყველა ეს კოლონია გახდება აგრეთვე ჩინებული სტრატეგიული პუნქტები, რომელთა მნიშვნელობასაც ჩვენ აღვნიშნავთ... იმისათვის, რომ უზრუნველყონ თავისთვის აზიის ბაზრებიც... მათ ესაჭიროებოდათ საყრდენი წერტილები“.

აქვე უნდა ითქვას, რომ კუნძულ კუბაზე ამერიკის შეერთებული შტატების ინტერვენციისადმი ცოტა მეცნიერულ-ისტორიული ნაშრომი როდია მიძღვნილი. კუბისათვის ესპანეთთან ომს ამართლებდნენ კუბის „თავისუფლების“, „და განთავისუფლების“ ინტერესებით და სხვ., მაშინ როცა, როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ამ ომის წარმოშობის ნამდვილი მიზეზები სულ სხვა იყო — ეს იყო ამერიკელ კოლონიზატორთა უაღრესად მატერიალური, ანგარებითი ინტერესები.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც ერთ დროს, როცა ფილიპინებს იერთებდნენ, თავისუფლება აღუთქვეს მათ. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ფილიპინების ამერიკელმა დამპყრობლებმა თავხედურად მოატყუეს ფილიპინელთა ბელადი აგინალდო და თავისებურად გაუსწორეს ანგარიში ფილიპინელ ხალხს იმავე თავიანთი დამპყრობლური მიზნებისათვის.

იტალიის თავდასხმა აბისინიაზე 1935 წელს, აბისინიის ოკუპაცია. გერმანიისა და იტალიის სამხედრო ინტერვენცია ესპანეთში 1936 წელს, ამასთან გერმანიამ ფეხი მოიკიდა ჩრდილოეთ ესპანეთსა და ესპანეთის მაროკოში, ხოლო იტალიამ—სამხრეთ ესპანეთში და ბალეარის კუნძულებზე.

იაპონიის შეჭრა, მანჯურიის დაპყრობის შემდეგ, ჩრდილოეთ და ცენტრალურ ჩინეთში 1937 წელს, პეკინის, ტიანძინის, შანხაის დაკავება. ჰიტლერული გერმანიის მიერ ავსტრიის მიტაცება 1938 წელს, ხოლო 1938 წლის შემოდგომაზე ჩეხოსლოვაკიის სუდეტის ოლქის მიტაცება. 1938 წელს იაპონიის მიერ კანტონის, ხოლო 1939 წლის დამდეგს კუნძულ ხაინანის დაპყრობა.

ყველა ეს აგრესიული აქტი, რომელთა წინააღმდეგ ერთა ლიგა უძლური, უუნარო აღმოჩნდა მიეღო სათანადო ღონისძიებანი აგრესორთა წინააღმდეგ, იმას მოწმობს, რომ ერთა ლიგის მესვეურებმა არ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა აგრესიის თავიდან ასაშორებლად, ისევე როგორც ახლა თავის მოვალეობას არ ასრულებენ ქვეყნები ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკისა, რომელიც ხელმძღვანელ ბირთვს წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და რომელიც უარს ამბობს შეწყვიტოს აგრესიული ომი კორეაში, შეწყვიტოს ამ პატარა გმირი ქვეყნის წამება.

აგრესიის საკითხი და, მაშასადამე, აგრესიის ცნების განსაზღვრის საკითხიც, რომელიც უშიშროების საბჭოს საქმიანობაში ხელმძღვანელი საწყისი უნდა გახდეს შესაძლებელი აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში, თანამედროვეობის აქტუალური და მნიშვნელოვანი ამოცანაა. წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც ომის საფრთხეს წარმოშობენ, არათუ არ გამქრალან, არამედ უფრო მეტად გამწვავდნენ, განსაკუთრებით მთავარ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს — ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის; ეს წინააღმდეგობანი იქცევიან აშკარა ბრძოლად ბაზრებისათვის, ნედლეულისათვის, განსაკუთრებით სტრატეგიული ნედლეულის — კაუჩუკის, ფერადი და შავითი ლითონების, ნავთისათვის და სხვ. მაგრამ წინააღმდეგობა გამწვავდა არა მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის, არამედ აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიას, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იტალიას, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ გერმანიას შორისაც. სულ უახლოესი პერსპექტივაა ამ წინააღმდეგობათა შემდგომი გამწვავება კაპიტალისტურ ბანაკში.

ამერიკელ იმპერიალისტთა ომი კორეელი ხალხის წინააღმდეგ, რაც უკვე ორ წელიწადნახევარს გრძელდება, და რაც აძლიერებს კაპიტალისტური ქვეყნების სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციას, აგრეთვე ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აღმავლობა კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში სულ უფრო ცხადყოფს იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლას, ხოლო ამასთან ერთად ახალ წინააღმდეგობათა ზრდასაც.

გ. მ. მალენკოვი თავის ამასწინანდელ მოხსენებაში, ახასიათებდა რა ამჟამად შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობას, აღნიშნავდა ამერიკელ იმპერიალისტთა შეღწევას ისეთი კოლონიური სახელმწიფოების კოლონიებსა და ვასალების სფეროებში, როგორიც არიან ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია და სხვ. ამერიკელები იპყრობენ იქ პოზიციებს თავისთვის, აწყობინებენ შეთქმულებებს თავიანთი ინგლისელი და ფრანგი „მოკავშირეების“ წინააღმდეგ, იყენებენ ბევრი კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნის (ეგვიპტე, ირანი, სირია, მაროკო, ტუნისი და სხვ.) ტერიტორიებს სამხედრო ბაზებისათვის, წლითიწლობით და თვიდან თვემდე აძლიერებენ მომავალი მსოფლიო ომის მომზადებას.

ასეთ პირობებში სრულიად უადგილო ხდება ისეთი ღონისძიებანი, როგორიც არის შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირება, ატომური იარაღის აკრძალვა, არაადამიანური ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარების შეწყვეტა, აგრეთვე ისეთი ღონისძიებანი, როგორიც არის ყველა სახელმწიფოსათვის ზუსტი და სავალდებულო განსაზღვრა აგრესიისა. შეიძლიათ მიუთხრან — ყოველივე ამაზე პირველ კომიტეტში უნდა გელაპარაკათ, აქ კი მეექვსე კომიტეტია, იურიდიული კომიტეტიაო. მე ამას ვერ დავეთანხმები.

იურიდიული კომიტეტი ყოველგვარ პოლიტიკურ აზრს მოკლებული იურიდიული სენტენციების არსენალი როდია. იურიდიული კომიტეტი იმ ადამიანთა კრებაა, რომელნიც გამოცდილი არიან არა მარტო სამართლის ცოდნაში, არამედ პოლიტიკაშიც, რადგან თვით სამართალი პოლიტიკის საშუალებაა. და რამდენიც უნდა უარყონ ეს ყოველგვარი ტიპის იდეალისტებმა, სამართალი პოლიტიკის იარაღია. ეს სწორია და ამას ანგარიში უნდა გაეწიოს, და ეს აძლევს იურისტებს საფუძველს სამართლის საკითხები განიხილონ არა მარტო ვიწრო იურიდიული ასპექტით, არამედ პოლიტიკური ასპექტითაც. რა თქმა უნდა, რაკი სამართალი პოლიტიკის იარაღია, იგი სრულიადაც არ უნდა იქნას იმ პოლიტიკის იარაღი, რომელიც ეწინააღმდეგება სამართლის პრინციპებს, არ უნდა იყოს უსამართლო პოლიტიკის იარაღი. ისტორიული ამოცანა ის არის, რომ სამართალი გადაქცეოთ სამართლიანი პოლიტიკის იარაღად, კაცობრიობის საკეთილდღეო პოლიტიკისა და არა იმ პოლიტიკის იარაღად, რომელიც ისახავს პოლიტიკური და უფლებრივი განვითარების ამ კეთილშობილური ამოცანების საწინააღმდეგო მიზნებს. ყველა ეს ღონისძიება ატლანტიკის ბლოკის მესვეურებს მეტად საშიშად ეჩვენებათ. ისინი ყოველნაირად ცდილობენ თავი დააღწიონ ამ „საფრთხეს“, ცდილობენ თავიანთი ასეთი პოზიცია მიჩქმალონ ყოველგვარი მოტივით და ხელოვნური ფორმულებით.

6. აგრესიის საბჭოთა განსაზღვრა მნიშვნელოვანი საშუალებაა მშვიდობისათვის. ახალი მსოფლიო ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში

მიუხედავად მთელი წინააღმდეგობისა, რასაც აწყდებოდა ცდა—მოცემული ყოფილიყო აგრესიის ცნების სერიოზული განსაზღვრა, რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამის ორგანოებს შეძლებოდათ მისი გამოყენება აგრესიასთან ბრძოლის თავიანთი მნიშვნელოვანი ამოცანის შესასრულებლად, გენერალურმა ასამბლეამ VI სესიაზე სრულიად სწორად აღიარა, რომ თუმცა აგრესიის დანაშაულობის არსებობის შესახებ შეიძლება დავასკვნათ იმ გარემოებათა მიხედვით, რომლებიც ყოველ ცალკე შემთხვევას სჩენია, მაინც შესაძლებელი და სასურველია, საერთაშორისო მშვიდობის, უშიშროების უზრუნველყოფისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარების მიზნით, განსაზღვრულ იქნას აგრესია მისი შემადგენელი ნაწილების დახმარებით. გენერალურმა ასამბლეამ აგრეთვე მიაქცია ყურადღება იმას, რომ „უეჭველია, სასარგებლო იქნებოდა ფორმულირება დოქტრინებისა იმ საერთაშორისო ორგანოების მომავალი ხელმძღვანელობისათვის, რომლებსაც მიენდობათ აღნიშნონ, თუ ვინ არის აგრესორი“.

გენერალური ასამბლეა დაეყრდნო ამ მოსაზრებებს და თავის VI სესიაზე დაადგინა, რომ აგრესიის ცნების განსაზღვრის საკითხი შეტანილი ყოფილიყო VII სესიის დღის წესრიგში.

ამასთან აგრესიის განსაზღვრა, რომელიც საბჭოთა კავშირმა წარმოადგინა, ძირითადად იმეორებს იმ განსაზღვრას, რომელიც უშიშროების საკითხთა კომიტეტმა მოამზადა 1933 წელს 1933 წლის 5 თებერვლის საბჭოთა წინადადების საფუძველზე.

აგრესიის საბჭოთა განსაზღვრამ სრული აღიარება ჰპოვა საერთაშორისო სამართლის თეორიაში. ამას მოწმობენ ბურჟუაზიულ მეცნიერებაში ისეთი ფართოდ ცნობილი იურისტების შრომები, როგორიც არიან ჰელა, კალოიანი, კოზენტინი და სხვები, რომლებიც საერთაშორისო დანაშაულისათვის სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის საკითხისადმი მიძღვნილ თავიანთ შრომებში ეყრდნობიან აგრესიის საბჭოთა განსაზღვრას, რომელიც მოცემულია 1933 წელს. „შეიძლება ვამტკიცოთ, — წერდა კალოიანი 1934 წელს, — რომ ლონდონის კონვენციები ქმნიან ახალი იურიდიული წესრიგის საფუძველს, ყოველი მტკიცე მშვიდობის არსებით პირობებს“. ამ აქტის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა სრულიად უეჭველია, რამდენადაც იგი გახდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ საკითხზე მთელ რიგ საერთაშორისო ხელშეკრულებათა საფუძველი. არ შეიძლება არ გავიხსენოთ ამ აქტის მნიშვნელობა, როგორც იგი ჩამოყალიბებულია უშიშროების საკითხთა კომიტეტის მოხსენებაში, მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ თითქმის უკვე 20 წელიწადი გავიდა.

ამ მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ ამ დოკუმენტში გამოხატული აქტი წარმოადგენს „უშიშროების მთელი იმ სისტემის საფუძველს, რომელიც მხედველობაში აქვს განიარაღების კონფერენციას, ბოლოს ულებს ეჭვებსა და კონტრვერზებს იმ საკითხში, ჩაიდინეს თუ არა თავდასხმა იმ სახელმწიფოებმა, რომლებმაც ძალას მიმართეს“. ამ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ, ამრიგად, სახელმწიფოები წინასწარ დაადგენდნენ იმას, რისი გაკეთებაც მათ არ შეეძლოთ იმ მუქარის გამო, რომ ისინი თავდამსხმელ მხარედ თუ აგრესორად არ ეღიარებინათ. „ასეთ განსაზღვრას ფასი ექნებოდა იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ იქნებოდა არავითარი ჩარევა საერთაშორისო ორგანოების მხრივ. იგი მნიშვნელოვანწილად უფრო ავტორიტეტიანს გახდიდა ძალისადმი მიმართვის აკრძალვას, შესაძლებლობას მისცემდა საზოგადოებრივ აზრს და სხვა სახელმწიფოებს — უფრო მეტი რწმენით ემსჯელათ, დაცული იყო თუ არა ეს აკრძალვა.

მეორე, იმ შემთხვევაში, როცა საერთაშორისო ორგანოები მოწოდებული იქნებოდნენ განესაზღვრათ ფაქტიურად თავდამსხმელი მხარე გარკვეულ კონფლიქტში, ცნების იმ ზუსტი განსაზღვრის არსებობა, რომელიც ამ ორგანოებს უნდა გამოეყენებინათ, მნიშვნელოვნად გააადვილებდა თავდამსხმელის დასახელებას და იმის ნაკლები რისკი იქნებოდა, რომ შეიძლება გამოსაყენებელი წესების დარღვევის შთაბეჭდილების შეუქმნელად სცადო ამა თუ იმ პოლიტიკური მიზეზით დაფარო ანდა დაიცვა თავდამსხმელი“.

იმავე მოხსენებაში კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია განსაზღვრის შედგენა იმ ელემენტების ჩამოთვლის მეთოდით, რომლებიც აგრესიას შეადგენენ.

გენერალური ასამბლეის VI სესიის პოზიცია აგრეთვე დასტურდება, თუ მივმართავთ ისტორიის გაკვეთილებს, რომლებიც მოწმობენ, რომ აგრესორი მუდამ ცდილობდა თავი მოეჩვენებინა თავდამცველ მხარედ, ანდა თავდასხმა დაესაბუთებინა მეორე მხარის მიერ მისი უფლებებისა და ინტერესების დარღვევით, ანდა შეექმნა ისეთი სიტუაცია, რომელიც თითქოს საფრთხეს უქმნის მის უშიშროებას, რათა ასეთი და ამგვარი ხრიკებით შეენიღბა აგრესია. აგრესიული ომების დანაშაულებრივი ორგანიზატორები, აჩაღებდნენ რა აგრესიულ ომებს, ყოველთვის იმოწმებდნენ იმას, რომ ისინი მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვის ინტერესებისათვის მოქმედებენ. ასეთი ხასიათის საყოველთაოდ ცნობილი მრავალი ფაქტიდან საკმაოა მხოლოდ რამდენიმე ფაქტი დავიმოწმოთ.

ტოკიოს ტრიბუნალის განაჩენი აღნიშნავს, რომ იაპონიის მილიტარიზმის ერთ-ერთი ბელადი — არაკი, მოუწოდებდა რა აგრესიული ომის მომზადებისაკენ, ამტკიცებდა, რომ საქმე ეხება მხოლოდ ეროვნულ თავდაცვას და იმ ამოცანის შესრულებას, რომლის მიზანია აღმოსავლეთ აზიის ქოსმოსი წესრიგის შექმნა, იდეალური მშვიდობისა და სამოთხის შექმნა.

ეროვნული თავდაცვა, არაკის აზრით, არ ამოიწურება თვით იაპონიის თავდაცვით, არამედ შეიცავს იმ გზის დაცვას, რომელიც ცნობილია კოდოს სახელწოდებით (ე. ი. სხვა ქვეყნების დაპყრობის და მათი ეგრეთწოდებულ „აყვავების სფეროდ“ გადაქცევის გზისა).

ამასვე მოწმობს ტანაკას ყბადაღებული მემორანდუმი — საიდუმლო მოხსენება იაპონიის საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, რომელიც 1927 წელს პრემიერ-მინისტრმა გენერალმა ტანაკამ წარუდგინა იაპონიის იმპერატორს. ის მემორანდუმი, როგორც ცნობილია, შეიცავდა სამხედროთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ ომისაკენ აშკარა მოწოდებას, შენიღბულს იმით, რომ ასეთი ომი გარდუვალია იაპონიის საარსებო ინტერესების გამო.

ნიურნბერგის ტრიბუნალის განაჩენი აღნიშნავს, რომ ჰიტლერელებმა სხვისი მიწა-წ

ა. ი. ვიშინსკის გამოსვლის დასასრული

რომელიც დიდი ხანია აღიარებულია საერთაშორისო სამართალში.

თუ სახელმწიფომ პირველმა ჩაიდინა განსაზღვრის 1 პუნქტში ჩამოთვლილი მოქმედება, ეს უმნიშვნელოვანესი პირობაა იმისათვის, რომ აღნიშნული მოქმედება კვალიფიცირებულ იქნას როგორც აგრესიის აქტი.

საკითხის ასეთი გადაწყვეტა სავსებით შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია წესდებაში. რა მოქმედება უნდა იქნას კვალიფიცირებული როგორც აგრესიის აქტი იმ შემთხვევაში, თუ იგი ჩაიდინა რომელიმე სახელმწიფომ, პირველმა მეორე სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის მიმართ?

ასეთი მოქმედებაა: მეორე სახელმწიფოსთვის ომის გამოცხადება; შეიარაღებული ძალების შეჭრა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, თუნდაც ომის გამოუცხადებლად; სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის დაბომბვა სახმელეთო, საზღვაო ან საჰაერო ძალების მიერ ან შეგნებულად იერიშის მიტანა სხვა სახელმწიფოს გემებზე ან საჰაერო ხომალდებზე; სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალების გადასხმა ან შეყვანა სხვა სახელმწიფოს ფარგლებში ამ სახელმწიფოს მთავრობის ნებადაურთველად ან ასეთი ნებართვის პირობების დარღვევა, კერძოდ, ვადის მხრივ ან სამხედრო ძალების ყოფნის რაიონის გაფართოების მხრივ; სხვა სახელმწიფოს ნაპირების ან ნავსადგურების საზღვაო ბლოკადის დაწესება და, ბოლოს, დახმარების გაწევა ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შექმნილი შეიარაღებული ბანდებისათვის, რომლებიც შეიჭრნენ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ან ისეთი მოქმედება, როცა სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზე შეიქმნა ბანდები, მიუხედავად იმ სახელმწიფოს მოთხოვნისა, რომლის ტერიტორიაზე ბანდები შეიჭრნენ, უარს ამბობს მიიღოს თავის საკუთარ ტერიტორიაზე მისგან დამოკიდებული ყველა ღონისძიება, რათა ხსენებულ ბანდებს მოუსპოს ყოველგვარი დახმარება ან მფარველობა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია აგრეთვე აგრესიის ცნების განსაზღვრის საბჭოთა პროექტის მე-2 და მე-3 პუნქტები, რომლებიც, ჩემი აზრით, არ მოითხოვენ სპეციალურ განმარტებას. აჯამებს რა ზემონათქვამს, საბჭოთა კავშირის დელეგაცია მიდის შემდეგ დასკვნამდე:

1. აგრესიის ცნების განსაზღვრა სავსებით შესაძლებელია. ამას ამტკიცებს ისტორიული გამოცდილება, როცა საბჭოთა კავშირმა წარადგინა აგრესიის ცნების განსაზღვრა, რომელმაც გამოხატულება ჰპოვა 11 საერთაშორისო შეთანხმებაში, რომლებიც საბჭოთა კავშირმა 1933 წლის 3-5 ივლისის განმავლობაში დადო მთელ რიგ ქვეყნებთან, აგრეთვე მთელ რიგ სხვა საერთაშორისო შეთანხმებებში.

2. აგრესიის ცნების განსაზღვრა საარგებლოა. კონვენციებმა, რომლებიც შეიცავენ ხსენებულ განსაზღვრას და სსრ კავშირსა და სხვა სახელმწიფოებს შორის მეგობრული ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენენ, გზა გაუკაფეს მშვიდობიან თანამშრომლობას მათ შორის.

3. აგრესიის ცნების განსაზღვრა საჭირო, რადგან იგი შეიძლება წარმოადგენდეს სახელმძღვანელო მითითებას, როცა სათანადო რწმუნებით აღჭურვილი საერთაშორისო ორგანო განიხილავს სახელმწიფოებს შორის წარმოშობილი შეიარაღებული კონფლიქტების საკითხს. იგი შეიძლება სახელმძღვანელო საწყისი გახდეს უშიშროების საბჭოსათვის, როცა იგი შეუფარდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების VII თავის 39-ე მუხლსა და სხვა მუხლებს.

4. აგრესიის ცნების განსაზღვრა საჭირო და სასარგებლოა ახლანდელი სამიში საერთაშორისო მდგომარეობის პირობებში, როგორც ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი საშუალება, რომელიც ხელს უწყობს ბრძოლას აგრესიისა და აგრესორის წინააღმდეგ, უსამართლო, დამპყრობლური ომის წინააღმდეგ, რომლის მიზანია სხვა ქვეყნების, სხვა ხალხების დაპყრობა და დამონება.

საბჭოთა კავშირის დელეგაცია მტკიცედ უჭერს მხარს მის მიერ შემოტანილ წინადადებას აგრესიის ცნების განსაზღვრის შესახებ და მოუწოდებს ყველა სხვა დელეგაციას მხარი დაუჭიროთ ამ წინადადებას, მიუხედავად მათი ყოველგვარი ეჭვისა და შენიშვნებისა, რომლებსაც მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ ამ საკითხის დიდ მნიშვნელობასთან შედარებით და რომლებმაც უნდა დაიხიონ უკანა პლანზე, — მხარი დაუჭიროთ ამ წინადადებას, რადგან იგი შეესაბამება ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის ძირეულ ინტერესებს, მშვიდობის განმტკიცებისა და ახალი მსოფლიო ომის საფრთხის თავიდან აცილების ინტერესებს.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 24 ნოემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდნენ ამერიკელ-ინგლისელთა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

კიმხვის რაიონში მოწინააღმდეგემ ათზე მეტი გააფთრებული იერიში მოიტანა, რომლებიც სახალხო ჯარებმა მოიგერიეს. ამასთან მტერმა მნიშვნელოვანი ზარალი ნახა.

ლისინმანელთა რაზმი შეეცადა დესანტი გადაესხა ნახევარკუნძულ ენანზე. სახალხო არმიის ნაწილებმა ჩაფუშეს ეს ცდა და ზღვაში გადაყარეს დესანტი. ჩაძირულია ერთი მოტორიანი კატერი და ოთხი სადესანტო გემი.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 8 და დაზიანეს 2 თვითმფრინავი.

სინხუას სააგენტო შეერთებული შტატების მიერ კორეის ომში იაპონელთა გამოყენების შესახებ

პეკინი, 25 ნოემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს:

ტოკიოდან მიღებულ ცნობაში ნათქვამია, რომ დღითიდღე მატულობს იმ დამამტკიცებელი საბუთების რაოდენობა, რომლებიც მოწმობენ შეერთებული შტატების მიერ კორეაში წარმოებულ აგრესიულ ომში საზარბაზნე ხორცად იაპონელთა გამოყენებას.

როგორც აღნიშნულია ფრანს პრესის სააგენტოს 17 ნოემბრის ცნობაში, იაპონიის ოფიციალურ წრეებში განაცხადეს, რომ იაპონიის მთავრობამ ამერიკელ ხელისუფალთა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ „რამდენიმე იაპონელი, — როგორც იუწყებიან, — მოკლულ, ტყვედ წაყვანილ იქნა ანდა უკვალოდ დაიკარგა კორეაში“. ამ იაპონელთა ოჯახებმა მიმართეს „გაერთიანებული ერების შეიარაღებული ძალების სარდლობის ტოკიოში ცდება, როცა აცხადებს, რომ კორეაში არ არსებობს შენაერთი სახელწოდებით „ტოკიოს მოხალისეთა ჯგუფი“. რადიომ განაცხადა, რომ კომპანია „ჯოლუმბიის“ კორესპონდენტებმა პუსანსა და სუვონში ამ ჯგუფს უწოდეს „დავიწყებულ ჯარისკაცთა მოჩვენებითი არმია“, რომელიც „იბრძვის კორეაში გაერთიანებული ერების ჯარების მხარდამხარ“. შესაძლებელია ამ არმიაში იყოს 8.000 კაცი. რადიოგადაცემაში აგრეთვე იუწყებოდნენ, რომ ეს ჯგუფი სუვონში ცნობილია სახელწოდებით „ტოკიოს სტუდენტ მოხალისეთა ჯგუფი“, ხოლო პუსანში სახელწოდებით „ტოკიოს მოხალისეთა ჯგუფი“. ამ „მოხალისეებს“ აქვთ „მოწმობები“, რომლებშიც პირდაპირ ნათქვამია, რომ ისინი არიან „იაპონელი მოხალისეები“.

ვიეტნამის სახალხო არმიის ახალი გამარჯვება

ლონდონი, 23 ნოემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ხანოიდან იუწყება, საფრანგეთის უმაღლესმა სარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ ვიეტნამის სახალხო არმიის ნაწილებმა დაიკავეს ქალაქი სონ-ლა—საფრანგეთის ჯარების ყველაზე დიდი დასაყრდენი პუნქტი ტაის ტომით დასახლებულ რაიონში, შავი მდინარის მარჯვენა ნაპირზე (ჩრდილოეთ ვიეტნამი.—რედ. შენიშვნა).

ინგლისის ოთხი კომპანიის ქონების რეკვიზიცია შანხაიში

შანხაი, 21 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთ „შანხაი ნიუსის“ ცნობით, შანხაის სამხედრო-საკონტროლო კომიტეტმა 20 ნოემბერს გამოსცა ბრძანება შანხაიში ინგლისის ოთხი სააქციო კომპანიის — შანხაის ტრამვაის კომპანიის, შანხაის წყალსადენის კომპანიის, შანხაის გაზის კომპანიისა და კომპანია „მაკენზი ენდ კომპანის“ მთელი ქონების რეკვიზიციის შესახებ.

ამ კომპანიების შუშები და მოსამსახურეები უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ ამ გადაწყვეტილებას. ამ კომპანიების პროფკავშირთა ხელმძღვანელებმა მუშებისა და მოსამსახურეების სახელით განაცხადეს, რომ ამ გადაწყვეტილებას ერთსულოვნად უჭერენ მხარს. საწარმოებში გამართულ მიტინგებზე მშრომელები სიხარულით მიესალმებოდნენ უცხოელთა საწარმოების გადასვლას ხალხის ხელში.

მუშაობა დაამთავრა საზოგადოება „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ IV ყრილობამ

ჰელსინკი, 23 ნოემბერი. (საკდესი). დღეს გაიმართა საზოგადოება „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ IV ყრილობის საბოლოო სხდომა.

ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ საჭიროა განმტკიცდეს ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა, ფართოდ განვითარდეს სავაჭრო და კულტურული ურთიერთობა სსრ კავშირთან.

საზოგადოების თავმჯდომარედ კვლავ ერთსულოვნად არჩეულია სიოლვი-კიულიკი კილპი. ყრილობამ აირჩია აგრეთვე ცენტრალური გამგეობის 34 წევრი და საზოგადოების გამგეობის საბჭოს 54 წევრი. გამგეობის საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია დოქტორი ვიაინე კაუკონენი. ვიცე-თავმჯდომარედ — ინჟინერი ალენ იარვენპაია.

ყრილობამ აირჩია დელეგაცია, რომელიც ეწვევა რესპუბლიკის პრეზიდენტს და მოახსენებს მას ყრილობის მუშაობის შესახებ.

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში

პეკინი, 22 ნოემბერი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელები უდიდესი ინტერესით სწავლობენ საბჭოთა კავშირის ცხოვრებას. ქალაქებისა და სოფლების მილიონობით მცხოვრებმა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის დროს მოისმინა მოხსენებანი და საუბრები სსრ კავშირის ხალხთა ცხოვრებისა და შრომის, საბჭოთა მუშების მოწინავე გამოცდილების შესახებ.

გაზეთმა „გუანმინიებაომ“ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ საბჭოთა კავშირის შესახებ მოახსენებანი და საუბრები იმართება მთელ ჩინეთში. არასრული ცნობებით, ფუძიანის პროვინციაში სოციალიზმის ქვეყნის შესახებ მოახსენებანი და საუბრები ზოისინის პროვინციის მოსახლეობის 40 პროცენტმა; ნანკინში 12 დღის მანძილზე მოეწყო 900-ზე მეტი მოხსენება და 5.500 საუბარი; სამრეწველო ქალაქ ტაიუანში მოხსენებებსა და საუბრებს 240 ათასი კაცი დაესწრო.

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის დროს ყველგან მატულობს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების წევრთა რიცხვი.

დანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

კოპენჰაგენი, 24 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთ „ლანდ ოგ ფოლკის“ ცნობით, 22 და 23 ნოემბერს გაიმართა დანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის ანსელ ლარსენის მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მუშაობის შესახებ, განიხილა პოლიტიკური მდგომარეობის საკითხები და პარტიის ამოცანები.

შემდეგ პლენუმმა განიხილა ცენტრალური კომიტეტის მდივნის იბა ნერლუნდის მოხსენება პარტიული სწავლების მიმდინარეობის შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მასალებისა და გადაწყვეტილებათა შესწავლის შესახებ.

საფრანგეთის ეროვნული კრების დამატებითს არჩევნებში გაიმარჯვა კომპარტიის კანდიდატმა

პარიზი, 24 ნოემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ ეროვნული კრების დამატებითს არჩევნებში (გარდაცვლილი სოციალისტი დეპუტატის ნაცვლად) ქალაქ კაორში (ლოს დეპარტამენტი) გაიმარჯვა კომუნისტმა ტამიემ.

ეგიპტის ახალი მთავრობის შემადგენლობა

ლონდონი, 24 ნოემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, გუშინ მეფის დეკრეტით შეიქმნა ეგიპტის ახალი მთავრობა.

ახალ მთავრობაში ნურედინ მაჰმუდი არის პრემიერ-მინისტრი, თავდაცვის მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი; ფადილ ჯემალი—საგარეო საქმეთა მინისტრი; აბდულ რასულ ჰალისი—იუსტიციის მინისტრი და საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრისა და გზათა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი, და სხვა მინისტრები.

საბჭოთა ჭანმოვარჯიშეების გამოსვლა ბერლინში

ბერლინი, 22 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს ბერლინში უდიდესი წარმატებით ჩაიარა საერთაშორისო ოლიმპიურ ასპარეზობაში გამარჯვებული საბჭოთა ტანმოვარჯიშეების პირველმა გამოსვლამ, რომლებიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩამოვიდნენ გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის გამო. დარბაზში იყვნენ: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ვილჰელმ პიკი, პრემიერ-მინისტრი ოტო გროტეოლი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის გენერალური მდივანი ვალტერ ულბრიხტი, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის დიპლომატიური მისიის მეთაური ი. ი. ილიჩოვი.

ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა წარმატება

პრაღა, 23 ნოემბერი. (საკდესი). კუნჩიცაში კლემენტ გოტვალდის სახელობის მეტალურგიული კომბინატის მშენებლებმა ახალი დიდი გამარჯვება მოიპოვეს. 19 ნოემბერს პირველი ფოლადი გამოადნო მესამე მარტენის ღუმელმა, რომელიც მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. აქ გამოდნობის მთელ პროცესს კონტროლს უწევს სპეციალური ავტომატური მოწყობილობა.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის პირველ სესიაზე

ვარშავა, 21 ნოემბერი. (საკდესი). დღეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმი მუშაობას განაგრძობდა. სეიმმა დაამტკიცა დღის წესრიგი და მოისმინა სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელიც დეპუტატმა ვიქტორ კლოსვენჩმა გააკეთა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის არჩევნები, რაც 1952 წლის 26 ოქტომბერს მოხდა, ყველა 67 საარჩევნო ოლქში მიმდინარეობდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციისა და სეიმის არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით. ყველა დეპუტატობის და დეპუტატის მოადგილეობის კანდიდატმა, რომლებიც ეროვნული ფრონტის სიაშია, ხმის უმრავლესობა მიიღო და არჩეულია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის დეპუტატად და დეპუტატის მოადგილედ.

სეიმის არჩევნები მიმდინარეობდა პოლონელი ხალხის ფართო მასების უდიდესი ენთუზიაზმისა და უმაგალითო აქტივობის ატმოსფეროში.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმში არჩეულია 425 დეპუტატი. აქედან 173 დეპუტატი წარმოშობით მუშაა. 155 — გლეხი, ხოლო დანარჩენი 97 დეპუტატი—მეტწილად, მშრომელი ინტელიგენტია.

პარტიული შემადგენლობით სეიმში არჩეულია: პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის 273 წევრი, გაერთიანებული გლეხთა პარტიის 90 წევრი, დემოკრატიული პარტიის 25 წევრი და 37 უპარტიო. სეიმის დეპუტატთა შორის 74 ქალია, ანუ თითქმის სამჯერ მეტი, ვიდრე სეიმის წინანდელ შემადგენლობაში.

სეიმის დეპუტატთა 195 მოადგილეს შორის 75 მუშაა, დეპუტატების 62 მოადგილე გლეხი და მტს-ბისა და სახელმწიფო სოფლის მეურნეობათა მუშაა. სეიმის დეპუტატთა მოადგილეებს შორის 39 ქალია.

სეიმმა დაამტკიცა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის არჩევნების სახელმწიფო საარჩევნო კომისიის ანგარიში.

სეიმმა კანონიერად ცნო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის არჩევნები ყველა საარჩევნო ოლქსა და საარჩევნო უბანში, კანონიერად ცნო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის ყველა დეპუტატისა და მათ მოადგილეთა არჩევა.

სეიმის მუშაობის რეგლამენტის დამტკიცებასა და სეიმის მუდმივი კომისიების არჩევის შემდეგ მოსმენილ იქნა დეპუტატ იუჟეიკის მოხსენება სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს შექმნის შესახებ კანონის პროექტზე და დამტკიცებულ იქნა კანონი სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს შექმნის შესახებ.

თავმჯდომარემ, სეიმის მარშალმა იან დემბოვსკიმ სეიმის განსახილველად დასვა საკითხი ახალი მთავრობის ჩამოყალიბების შესახებ. მან სეიმს აცნობა, რომ მიღებულია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოლესლავ ბერუტის წერილი, რომლითაც იგი წინადადებას იძლევა შედგეს მთავრობა შემდეგი შემადგენლობით:

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები: იუზეფ ცირანკევიჩი, ვლადისლავ დვორაკოვსკი, ტადეუშ გედე, პეტრე იაროშევიჩი, სტეფანე ენდრიხოვსკი, ხილარი მინცი (იგივე ეკონომიკური დაგეგმვის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე), ზენონ ნოვაკი, პოლონეთის მარშალი კონსტანტინე როკოსოვსკი (იგივე ეროვნული თავდაცვის მინისტრი).

მინისტრები: საზოგადოებრივი უშიშროების მინისტრი—სტანისლავ რადკევიჩი, ქალაქებისა და დაბების მშენებლობის მინისტრი—რომან პიოტროვსკი, სამრეწველო მშენებლობის მინისტრი—ჩესლავ ბომბინსკი, ენერგეტიკის მინისტრი ბოლესლავ ციანციარა, ფინანსთა მინისტრი—ტადეუშ დიტრიხი, კომუნალური მეურნეობის მინისტრი — ფელიქს ბარანოვსკი, სამთო მრეწველობის მინისტრი — რიჩარდ ნეშორეკი, საშინაო ვაჭრობის მინისტრი—მარიან მინორი, საგარეო ვაჭრობის მინისტრი — კონსტანტინე დომბროვსკი, მეტალურგიული მრეწველობის მინისტრი—კეისტუტ ენემიტისი, რკინიგზის ტრანსპორტის მინისტრი—რიჩარდ სტშელეცკი, სახელმწიფო კონტროლის მინისტრი—ფრანციშეკ იუჟეიკი, კულტურისა და ხელოვნების მინისტრი—ვლადიმერ სოკორსკი, სატყეო მეურნეობის მინისტრი — ბოლესლავ პოდედვორნი, განათლების მინისტრი — ვიტოლდ იაროსინსკი, სახელმწიფო სოფლის მეურნეობათა მინისტრი ხილარი ხელბოვსკი, ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრი — ვაცლავ შიმანოვსკი, ქიმიური მრეწველობის მინისტრი — ბოლესლავ რუმინსკი, წვრილი მრეწველობისა და ხელოსნობის მინისტრი — ადამ ეგბრიხსკი, მსუბუქი მრეწველობის მინისტრი — ევგენი სტავინსკი, მანქანათმშენებლობის მინისტრი — იულიან ტოკარსკი, კვების მრეწველობის მინისტრი—მეჩისლავ გოფანი, მიწათმოქმედების მინისტრი — იან დომბ-კოციოლი, იუსტიციის მინისტრი — გენრიხ სვენტკოვსკი, საგარეო საქმეთა მინისტრი — სტანისლავ სკშეშევსკი, უმაღლესი განათლების მინისტრი—ადამ რაპაცკი, ავტოსაგზაო და საჰაერო ტრანსპორტის მინისტრი—იან რუსტეცკი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი—ეჟი შტახელსკი, ნაოსნობის მინისტრი—მეჩისლავ პო